# ოცნებები ამ ახალ წელს მაინც აგვხდენოდეს!

# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.
ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 2014 წელი.
№264 (7645)
ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მილოცვა ერის სულიერ მამას!..



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ვულოცავ აღსაყდრების (25 დეკემბერი) და დაბადების დღეს (4 იანვარი). ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

უღრმესი პატივისცემით, აკადემიკოსი
**მარიამ ლორთქიფანიძე**

---

**თქვენო უწმინდესობავ,**

25 დეკემბერს საქართველომ იზეიმა თქვენი აღსაყდრების 37 წლისთავი.

თქვენს მიერ განვლილი გზა თქვენ თავად რუსთაველის მეტაფორით განსაზღვრეთ — ეს იყო „მზიანი ღამე“.

თითქმის ოთხი ათეული წელია, საქართველო რწმენითა და მოწიწებით ადევნებს თვალს თქვენს მოღვაწეობას, რომელსაც ისევ რუსთაველის ნააზრევს თუ მივუსადაგებდი. ეს გახლავთ „ვეფხისტყაოსნის“ 1664-ე დასკვნითი სტროფი, სადაც, ჩემი ღრმა რწმენით, სახელმწიფოს მოწყობის გეგმაა მოცემული.

იდეა თქვენი წინამძღოლობისა, იდეა თქვენი დამოკიდებულებისა ხალხის, სამშობლოსა და სახელმწიფოს მიმართ სრულად ემთხვევა რუსთაველის პროგრამას:

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა
მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და
გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა
ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და
მგელი ერთად სძოვდეს.

გისურვებთ, რომ ღვთის შეწევნითა და ჩვენი ერის თავდადებით უკეთ მივუახლოვდეთ რუსთაველისა და თქვენს მიერ დასახულ მიზანს.

4 იანვარს საქართველო განსაკუთრებული სიხარულით მიეგებება თქვენს დაბადების დღეს. კარს ახალი 2015 წელი მოგვადგა.

თავს უფლებას ვაძლევ, ეს მნიშვნელოვანი თარიღები ჩემი ლექსითაც მოგილოცოთ:

როცა ვლოცულობთ, ცისკენ მივილტვით...
გვჯერა, ჩვენი ხმა მისწვდება უფალს,
მაგრამ, წმინდანი თუ წინ მიგიძღვის,
ვინც ერს უსაზღვროდ, უსაზღვროდ უყვარს,

მაშინ შენს ფერხთით ცაც დაეშვება,
მზად ხარ, დაჰკოცნო მიწა ცვრიანი,
დილა უთუოდ მოგიტანს შვებას,
და მაშინ ღამეც არის მზიანი.

მოწიწებითა და სიყვარულით,
**ინესა მერაბიშვილი**



## იმედია, 2015, ცხვრის წელიწადი, სამშობლოს წინსვლის ხელშემშლელთათვის ცხარე წელიწადი გამოდგება!..

## ნაციონალური მოძრაობის TOP 8 ტყუილი 2014 წელს

②





**ინფორმაცია**

### პრემიერის მადლობა მინისტრებს



საქართველოს მთავრობამ 2014 წლის ბოლო სხდომა გამართა. სხდომა მთავრობის ადმინისტრაციაში ტრადიციულად პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

სხდომის დაწყებისას ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრებს გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო ეფექტური იქნება.

„წელს ეს არის მთავრობის ბოლო სხდომა. მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ მუშაობისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტად ეფექტიანად ვიმუშავებთ და დავიხარჯებით. მინდა, გისურვოთ წარმატებები მომავალ წელს„ - მიმართა პრემიერმა მთავრობის წევრებს.

### საქართველოს პრეზიდენტმა 84 მსჯავრდებული შეიწყალა



— ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, 63 მსჯავრდებულმა, რომელთაგან ერთი ქალი და ერთი არასრულწლოვანია, სასჯელაღსრულების დაწესებულება გუშინ დატოვა. რაც შეეხება დანარჩენ 21 მსჯავრდებულს, მათ დარჩენილი სასჯელი სხვადასხვა ვადით შეუმცირდათ. დარჩენილი 21 მსჯავრდებულიდან 1 ქალია, ხოლო 4 — არასწრულწლოვანი.

ზვიად ქორიძის ინფორმაციით, შეწყალების კომისიამ სულ 493 საქმე განიხილა.

### საახალწლო პრემიები - მხოლოდ ტექპერსონალისთვის

ქუთაისის მერიაში საახალწლოდ თანამშრომლებზე პრემიები არ გაიცემა. ქალაქის მერის შოთა მურღულიას გადაწყვეტილებით, პრემიას მხოლოდ ტექნიკური პერსონალი მიიღებს (38 თანამშრომელი, ჯამში14.420 ლარი).

„დანაზოგი მიმდინარე წელს აისახება სხვადასხვა კულტურული, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების დაფინანსებაში. მერიაში პრემია არ გაიცემა, ვიდრე შემუშავებული არ იქნება ახალი წესი, რომლის მიხედვით საჯარო მოხელე პრემიას დამსახურების მიხედვით მიიღებს“, — განაცხადა შოთა მურღულიამ

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქუთაისის მერიაში საჯარო მოხელეებზე პრემია არ გაცემულა.

### წინამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლი გაიხსნა

წიწამურში ილია ჭავჭავაძის რეაბილიტირებული ძეგლი გაიხსნა. ძეგლი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ და მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორმა გიორგი ამაშუკელმა გახსნეს.

ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, წმინდანის ძეგლის რეაბილიტაციის მოთხოვნით, საზოგადოება სხვადასხვა მთავრობებს წლების განმავლობაში მიმართავდა, აწყობდა აქციებსა და გამოსვლებს, თუმცა - უშედეგოდ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ახალი ხელისუფლების პირობებში, ოთხი თვის წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაიწყო.

სამუშაოების დაწყებამდე ძეგლის კვარცხლბეკი და მიმდებარე ტერიტორია, პრაქტიკულად, დანგრეული იყო. პროექტის ფარგლებში, განახლდა კვარცხლბეკი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კვარცხლბეკამდე მისასვლელ კიბეებს, ამფითეატრს, გაკეთდა განათება, დაირგო ბროწეულის ხეები, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 500 ათასი ლარი შეადგინა. მთავრობის დავალებით, სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის პროექტი ძეგლის ავტორს, არქიტექტორ თეიმურაზ ბოჭორიშვილს ეკუთვნის.

„გარდა, მორალური და ესთეტიური მნიშვნელობისა, ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია საგულისხმო მოვლენაა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობისთვის, რადგან ეს ხელს შეუწყობს მხარის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომავალ წელს განხორციელდება ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებაც“, — აცხადებენ სამინისტროში.




**ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...**

# ნაციონალური მოძრაობის TOP 8 ტყუილი 2014 წელს,

## ანუ წინასაახალწლო ნახევრადიუმორი

**2014 წელი იმით უფრო გამოირჩეოდა, რომ საზოგადოების მგრძნობელობა საკითხებისადმი ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე რეალობა. ამაზე ხელისუფლების ოპონენტებმა იზრუნეს.**

**გაგაცნობთ, „ნაციონალური ტყუილების“ ტოპ-ათეულს.**

**შეგახსენებთ, ტოპ-ათეული ნაწილობრივ იუმორისტულია და ბოლომდე სერიოზულად ნუ აღიქვამთ.**

**აქვე, მეორე ტოპ-ათეული უკვე ხელისუფლების 2014 წლის ტყუილებს შეეხება.**

**მაშ, ასე...**

**8 ადგილი: „კრიმინალი შემოგვივარდა სახლში და ქუჩაში საღამოს ვერ გაივლი“** — რამდენადმე გამძაფრებულმა ინფორმაციამ კრიმინალის შესახებ მცირე ხნით მოსახლეობის პანიკა გამოიწვია. იმის მიუხედავად , რომ დანაშაულის დონით საქართველოს ევროპის ქვეყნებზე უარესი მონაცემი არ ჰქონია, მოსახლეობამ მაინც შიშნარევად გადაიტანა ინფორმაცია. საერთო ჯამში, ეს ხელოვნური პანიკა მალევე დასრულდა.

**7 ადგილი: „საქართველომ საგარეო ვექტორს გადაუხვია“** — 2014 წლის ერთ-ერთი მორიგი მიზეზი პანიკისა, საქართველოს საგარეო ვექტორის შესაძლო ცვლილება გახდა. ნაციონალური მოძრაობა მოსახლეობას არწმუნებდა, რომ უკრაინის ექს-პრეზიდენტის იანუკოვიჩის მსგავსად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარს უკანასკნელ მომენტში განაცხადებდა. ამ ხელოვნური პანიკის მიუხედავად, „ასოცირების ხელშეკრულებას“ ზარზეიმით მოეწერა ხელი.

**6 ადგილი: „ევროპის ქვეყნები საქართველოს ხელისუფლების უგუნურობის გამო ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას არ მოახდენენ“** — ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ასოცირების ხელშეკრულების მიუხედავად, ევროპის ქვეყნები რატიფიცირებას არ მოახდენდნენ, ამის შესახებ ინტენსიურმა საინფორმაციო კამპანიამ მცირე ხნით დაჩრდილა ასოცირებით მიღებული სიხარული, საზოგადოების ნაწილი ისევ პანიკამ მოიცვა, იქნებ, მართლაც რატიფიცირების გარეშე დავრჩეთო. მიუხედავად ამ მორიგი ხელოვნური პანიკისა, ხელშეკრულების რატიფიცირებაც მალევე მოხდა.

**5 ადგილი: „მსოფლიოში საქართველოსადმი ინტერესი განელდა“** — იმ პასაჟით, რომ ინტერესი დადებით ეფექტს ნიშნავსო, ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებას ლანძღვა-კიცხვის დიდი დოზა აუგორა, ამ ხელოვნურ საინფორმაციო კამპანიასაც მალე მოეღო ბოლო, როდესაც ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის ე.წ. რუსულ-აფხაზურ ხელშეკრულებაზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა ლიდერმა და ადმინისტრაციამ გააკეთა.

**4 ადგილი: „ევროპა უკიდურესად ნეგატიურად აფასებს საქართველოს ხელისუფლების მუშაობას“** — ანტიქართულ საინფორმაციო კამპანიებს საერთაშორისო საზოგადოებაში ნაციონალურმა მოძრაობამ „ოპოზიციაში“ გადასვლისთანავე მიმართა. დაახლოებულმა კონტაქტებმა თავისი ქნეს და ჩნდებოდნენ პირები, რომლებიც ნეგატიურ განცხადებებს აკეთებდნენ საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი განცხადებები და გამოსვლები საკმაოდ „ეფექტურადაც“ ახდენდა ხელისუფლების დისკრედიტაციას. თუმცა, საერთო ჯამში, ოფიციალური რეზოლუციები და მსოფლიოს ლიდერთა განცხადებები და შეფასებები შემხვედრი იყო საქართველოს მიმართ. ძირითადად იყო დადებითი შეფასებები და რისკების შესახებ რეკომენდაციები.



**3 ადგილი: „ფასების კონტროლი ვერ ხერხდება და ლარი კუპონიზაციას განიცდის“** — ლარის კურსის დაცემამ ყველა ჩვენგანი შეაშინა, თუმცა, ის რა „პერსპექტივებსაც“ სახავდა ნაციონალური მოძრაობა, შიში სერიოზულ პანიკად გვიქცია. მოსახლეობა შიშით ვალუტას ცვლიდა, ლარს არ იტოვებდა ოჯახში, პროდუქტებს იძენდა სამომავლო შიმშილობისათვის. საერთო ჯამში, მართალია, ლარი რამდენადმე გაუფასურდა და ფასებმაც მოიმატეს, მაგრამ ქვეყანაში შიმშილი არ დამდგარა, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა გვპირდებოდა; სამაგიეროდ, დასტაბილურებულმა ლარის კურსმა არაერთ ადამიანს ფინანსური მარცხი განაცდევინდა - შიშის ფაქტორის გამო ფინანსური რესურსები დოლარში გადაცვალეს.

**2 ადგილი: „ბიძინა ივანიშვილი მართავს პროცესებს“** — ამ აზრში თითქმის ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო. ივანიშვილის ყოვლისმომცველ დიქტატორობაზე მსჯელობდა არაერთი. თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, ჯერ პრეზიდენტი დაუპირისპირდა მას, შემდეგ მაშინდელი თავდაცვის, საგარეო საქმეთა მინისტრებს და ა.შ. ანუ ე.წ. ალასანიას გუნდის საპარლამენტო და აღმასრულებელი წარმომადგენლობა. ამ ყველაფრის შემდეგ აქტიურად დაიწყო საუბარი რესპუბლიკელების გეგმაზეც, გასულიყვნენ კოალიციიდან. ივანიშვილის „ყოვლისმმართველობა“ მითი უფრო გამოდგა, ვიდრე რეალობა.

**1 ადგილი: „ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური პარტიაა, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავს“** — ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც ლიდერმა ოპოზიციურმა პარტიამ, ამით პოზიციონირება ჯერ კიდევ კოჰაბიტაციის პერიოდში დაიწყო, სანამ სხვა ოპოზიციური ძალები აზრზე მოვიდოდნენ. მათ წარმოადგინეს თავი, როგორც ერთადერთმა და უკონკურენტო ლიდერებმა“ თუმცა, 2014 წელს „ალასანიას გუნდის“ ოპოზიციაში გადასვლამ საკითხი გამოაცოცხლა და ნაციონალურ მოძრაობას კონკურენტი ოპოზიცია გაუჩინა. „თავისუფალ დემოკრატებს“ რეალური პერსპექტივები გაუჩნდა, ოპოზიციის ლიდერის სტატუსი მიელო, ამიტომ ნაციონალურმა მოძრაობამ ალასანიას გუნდის დისკრედიტაციაზე დაიწყო მუშაობა, შექმნა მითი, რომ ნაციონალებთან გაერთიანებას აპირებდა ალასანია. მეორე მხრივ, მოჭარბებულად დადებითი საინფორმაციო კამპანიით ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ მედიასაშუალებებში, ალასანიას სარეიტინგო პერსპექტივებიც წლის ბოლოსათვის შეასუსტა. ამას ნოემბერ-დეკემბერში საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაცია დაემატა, რომ ალასანია ნაციონალებთან საერთო პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობდა.

**რითი გამოიჩენს თავს „პირველი ოპოზიციური პარტია“ 2015 წელს, ამის პროგნოზირება მიმდინარე წლის ტყუილებითაც შეიძლება, თუმცა, შეჯამებას, ალბათ, უკვე მომავალ წელს გავაკეთებთ.**

**შემდეგი ტოპ-ათეული უკვე ხელისუფლების 2014 წლის ტყუილებს შეეხება.**

წინასაახალწლო
ნახევრადიუმორით,
**არჩილ გამზარდია**

◉ არავირტუალური სადღესასწაულო სტატისტიკა

# რამდენ ოჯახს ეყოფა საახალწლოდ ინდაურის საცივით გალიპლიპებული „ოლიმპიური აუზი?“

**ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი ქართული ტელეარხის წამყვანი დამიკავშირდა და მთხოვა, თავის კითხვაზე პასუხის გაცემა, ოღონდ გამაფრთხილა: კითხვა ცოტა უცნაური და სახალისო დატვირთვის არის და არ გაგიკვირდეთო.**

**მეც დავაიმედე, რომ კითხვის მსუბუქი და იუმორისტული დატვირთვის მიუხედავად შევეცდებოდი, მასზე მთელი სერიოზულობით და, რაც მთავარია, ობიექტურად მეპასუხა.**

**კითხვის შინაარსი კი შემდეგში მდგომარეობდა: რამდენ ოჯახს ეყოფა საახალწლოდ ინდაურის საცივით გალიპლიპებული „ოლიმპიური აუზი“ და როგორ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით „ინდაურის ინდექსი“?**

**მეც მთელი სერიოზულობით მოვეკიდე ჟურნალისტის კითხვას და პასუხიც გავეცი. თუმცა, რამდენად სამხიარულო და სახალისო გამოვიდა ფიქრები და განცდები, რომლებიც პასუხის მომზადებისას დამებადა, ამაზე დასკვნა თავად წინასაახალწლო მზადებაში მყოფმა გაზეთის ერთგულმა მკითხველმა გააკეთოს.**

**ოლიმპიური აუზის** სიგრძე, წესით, 50 მეტრია, სიგანე – 25 მეტრი, სიღრმე - 2 მეტრი. ტევადობა - 2500 კუბური მეტრი, ანუ 2.5 მილიონი ლიტრი.

ერთ ოჯახზე გაანგარიშებით, ინდაურის საცივი – დაახლოებით 0.011 კუბური მეტრი ტევადობისაა, ანუ **ერთი ოლიმპიური აუზი დაიტევს დაახლოებით 230 ათასი (227.5 ათასი) ოჯახის სამყოფ „საცივის ულუფას“.**

საქართველოში 1.1 მილიონზე მეტი ოჯახია, ანუ **ყველა ოჯახის საცივით უზრუნველყოფისათვის საჭირო იქნებოდა ოთხი გალიპლიპებული და ერთი, ღვინის დასხმის კახურ წესს თუ დავესესხებით, „კახურად შევსებული“ ოლიმპიური აუზი (დაახლოებით 4.8 ოლიმპიური აუზი).**

მაგრამ, **საქართველოში არ და ვერ მზადდება ამ მოცულობის საცივი** – ჯერ ერთი, ამდენი ინდაური ფაქტობრივად, არცაა საქართველოში, ამიტომ ინდაურს მხარი (ანუ ფრთა) სიმინდზე გამოზრდილმა დედლებმა უნდა შეაშველონ.

მეორეც, საქართველოში კალენდარული ახალი წელი შობის მარხვას ემთხვევა, საქართველოს მოსახლეობის 4/5-ზე მეტი მართლმადიდებელია, რის გამოც მათგან საკმაოდ ბევრი (დაახლოებით 1/3-2/5) საახალწლო სუფრაზე ხორცეულის მიტანისა და „მიტანებისგან“ თავს (შე)იკავებს. ზოგსაც კი, რაღაა დასამალი, საკუთარი ბიუჯეტი საამისო შესაძლებლობას არ აძლევს და ინდაურის საცივს ბაჟეში ჩადებული თევზით (ჩა)ანაცვლებს. - **საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი იმაზე ნაკლებია, რაც საახალწლო ინდაურის საცივის დამზადებას სჭირდება, ყოველი მეოთხეს შემოსავალი კი ვერ ფარავს ინდაურისა და გოჭის ჯამურ საახალწლო ფასს.** შესაბამისად, წელს საქართველოში **საახალწლო სუფრაზე ინდაურის საცივის ატრიბუტი დაახლოებით 400 ათას ოჯახს თუ ექნება.** ეს კი იმდენ საცივს მოითხოვს, რომ ერთ გალიპლიპებულ „ოლიმპიურ“ და ოთხიოდე „არაოლიმპიურ“, საბავშვო საჭყუმპალაოს ტევადობის ჭურჭელს თუ გადაავსებს. შესაბამისად, საქართველოს ოჯახების თითქმის ორი მესამედისათვის „ინდაურის საცივი“ ისეთივე ვირტუალური დატვირთვის საგნად რჩება, როგორც ამერიკაში მადლიერების დღეს ამ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ინდაურის შეწყალების ცერემონიალის დემონსტრირება...




რაც შეეხება **ინდაურის ინდექსს**, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, **საცივის ინდექსს**, მისი ფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მარტო თბილისისა და რეგიონების მიხედვით, არამედ ინდაურის რეალიზაციის ადგილისა და თვით დროის მიხედვითაც, შარშანდელთან შედარებით ნიგვზის 15-პროცენტიანი გაძვირების და სანელებლების თითქმის უცვლელი ფასების პირობებში. კონკრეტული ციფრის ღიად დასახელება, ვფიქრობ, მთლად კორექტული არ იქნება - ინდაურის წონის, ფერიანობისა თუ კლიენტის ფულიანობის გათვალისწინებით, ამიტომ ერთადერთი, რის ღიად თქმაც შეგვიძლია მკითხველებისათვის, ისაა, რომ **ინდაურის, ან საცივის ინდექსი ნამდვილად და საგრძნობლად გაიზარდა წინა წელთან - ინდაურის დაახლოებით ორი ფრთისა და ერთი ბარკლის ღირებულებით.** – გამოცდილმა დიასახლისებმა კი კარგად იციან თავიანთი შეძლებისა და გემოვნების შესაფერისი ინდაურის ფასიც და ისიც, ამ საახალწლო სუფრის მთავარ სამიზნედ და „მსხვერპლად“ შეწირული ფრინველის მთლიან წონაში რა ადგილს იკავებენ მისი ხსენებული ნაწილები...

და რადგანაც ყველანი შინაგანად მაინც პოზიტივზე, წინასაახალწლო განწყობასა და იუმორისტულ ტალღაზე ვართ მომართული, მეც მინდა, ერთი სურვილი გავუმხილო მკითხველს, რომელშიც „საცივიან“ და „უსაცივო“ მოსახლეობასთან ერთად ხელისუფლებაც მოიაზრება.

რადგანაც ათვლის საზომად „ოლიმპიური აუზი“ ავიღეთ, ვისურვებდი, რომ იგი არათუ ინდაურის საცივით, არამედ საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის ეკვივალენტური ასლარიანებით ყოფილიყო გადავსებული (ინფლაციისა და ვალუტის მკვეთრი ვარდნისაგან ამ ახალ წელს ღმერთმა, ეროვნული ბანკის უკვე წამავალმა და მოსასვლელმა ახალმა პრეზიდენტებმა და ფინანსთა მინისტრმა დაგვიცვან...). ეს ამჟამინდელთან შედარებით დაახლოებით 7.5-ჯერ მეტი – თითქმის ისრაელის მაჩვენებლის ტოლფასი იქნებოდა. მოსახლეობის ერთ სულზე ასეთი ზრდა საქართველოს შესაძლებლობას მისცემდა ამჟამინდელი 118-ე ადგილიდან მსოფლიოს პირველი ათეულის წევრობის რეალური კანდიდატურა გამხდარიყო. აი, მაშინ კი აქეთ „დაგვახევდნენ კალთებს“ ნატო და ევროკავშირი - მობრძანდით, ჩვენი ოჯახის წევრები გახდითო...

ჯერჯერობით კი... **საქართველო ბიუჯეტის ეკვივალენტური ასლარიანების თანხა, თუ ოლიმპიური აუზის ძირში გაიფინება, აუზის ფსკერზე დამდგარ ფინანსთა მინისტრს (ან მთავრობის ნებისმიერ წევრს) მხოლოდ... მცირე წვივამდე თუ მისწვდება.** რაც შეეხება ქვეყნის მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს, მისი სიმაღლის პროეცირება ადამიანის სიმაღლესთან, ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის პროპორციების გათვალისწინებით, შეიძლება ცოტა უხერხულიც კი იყოს... ასე რომ, ასლარიანებით მოფენილ „ოლიმპიურ აუზში“ ბიუჯეტის „სიმაღლე“, სანამ მინისტრის წვივის სიმაღლიდან ბარძაყის სიმაღლემდე მაინც არ გაიზრდება, მანამ საქართველოს მოსახლეობის, ყველა ოჯახის საახალწლოდ ინდაურის საცივით უზრუნველყოფის ამოცანა მხოლოდ ვირტუალურად იქნება გადაჭრილი..

**იოსებ არჩვაძე.**

# 2014 წლის ეკონომიკური შედეგები და 2015 წლის პერსპექტივები

**2014 წლის ეკონომიკურ შედეგებსა და 2015 წელს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე, გვესაუბრებიან საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე და ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ირაკლი ლექვინაძე.**




**– როგორ შეაფასებდით 2014 წელს ეკონომიკური თვალსაზრისით?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – 2014 წელი შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არ მოხდა უარესი.

**ირაკლი ლექვინაძე** – რაიმეთი გამორჩეული არ იყო, მაგრამ წინა წელს დაწყებული პოზიტიური ტენდენციები შენარჩუნდა.

**– რას მიიჩნევდით 2014 წელს უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მოვლენად?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – საუბედუროდ, ეკონომიკაში მნიშვნელოვანი არაფერი არ მომხდარა.

**ირაკლი ლექვინაძე** – ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება.

**– რას მიიჩნევდით 2014 წლის ყველაზე ცუდ ეკონომიკურ ფაქტად?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – ლარის კურსის არასტაბილურობას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნებლიეთ ან განგებ დააგვიანა შემარბილებელი ღონისძიების გატარება.

**ირაკლი ლექვინაძე** – 2014 წლის ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება საიჯარო რეგულაციების შემოღება და შეზღუდვები იყო.

**– რას მიიჩნევდით იმის მიზეზად, რომ „ქართული ოცნების“ დაპირებების მიუხედავად, ხელისუფლების მხრიდან პროექტ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გარკვეული მცდელობების მიუხედავად, ქვეყანაში არ შექმნილა ახალი საწარმოები, არ გაზრდილა დასაქმებულთა რაოდენობა და ქვეყანას არ დაუწყია იმგვარი პროდუქციის წარმოება, რომლის გატანა ექსპორტზე იქნებოდა შესაძლებელი. .**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – წინა ეკონომიკური გუნდის უნიათობის შედეგად, საქართველო მსოფლიოში განთქმულმა სამთამადნო კომპანიამ დატოვა.

**ირაკლი ლექვინაძე** – სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 80-ზე მეტი საწარმოა შექმნილი ანაც ისეთი, რომელთაც გააფართოვეს თავისი საქმიანობა ან აიღეს სესხი ახალი საწარმოებისთვის.

**– როგორ შეაფასებდით სოფლის მეურნეობაში არსებულ ვითარებას?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – მიუხედავად არსებული კრედიტებისა და საელმწიფო პროგრამებისა, თუ არ განხორციელდა მიწის ნაკვეთების კონსოლიდირება, სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება.

**ირაკლი ლექვინაძე** – ამ ორი წლის განმავლობაში, რაც პოზიტიური მოხდა სოფლის მეურნეობაში, მთავარი მაინც რუსული ბაზრის გახსნაა.

**– რას მიიჩნევდით 2014 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზად და რამდენად შესრულებადია 2015 წლის ბიუჯეტი?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – ეკონომიკის განვითარებისთვის უმთავრესია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობა. აქ კი მდგომარეობა არსებითად არ იცვლება.

**ირაკლი ლექვინაძე** – დანაკლისი იყო შემოსავლების ნაწილში და ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ დაგეგმილი იყო 5%-იანი ზრდა, რეალურად კი, ზრდა აღმოჩნდა 3,%-ზე ოდნავ მეტი.

**– სავარაუდოდ, როგორია 2015 წელს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა?**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე** – თუ მთავრობამ ისევე იმუშავა, როგორც 2014 წელს, ჩვენი ეკონომიკა 2015 წელს საერთოდ არ განვითარდება.

**ირაკლი ლექვინაძე** – 2015 წელს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები დამოკიდებული იქნება საგარეო ფაქტორზე.

**კობა ბენდელიანი**



# ნეტავ, მართლა ვინა ვართ!..

**ვინა ვართ და რატომ მოვევლინეთ ადამიანები ამ ქვეყანას? ალბათ, გაიკვირვებს მკითხველი – ოჰო, რა ადვილი საქმის გარკვევა მონდომებია პატივცემულსო! დიახ, ეს კითხვა იგივეა, მზე რატომ ანათებს, ან წვიმა რატომ მოდისო, რომ ვიკითხოთ. თუმცა ამ უკანასკნელ ორ შეკითხვაზე პასუხი გვაქვს: ადამიანებისთვის, სიცოცხლისთვისო – სწრაფად ამოვხსნით ... მაგრამ კითხვა – თუ რატომ მოვედით, ჩემი ერის შემყურეს, სიმართლე თუ გნებავთ, ძნელად ასახსნელი მეჩვენება!**

არ ვიცი, სხვა კონტინენტზე, სხვა გეოგრაფიულ ველში როგორია ადამიანი. ათეული წლები უნდა იცხოვრო ამა თუ იმ ხალხთან, მათი ბუნება რომ კარგად გაიგო, თუმცა, ერთხანს, ამ რამდენიმე ხნის წინათ, გერმანიაში ცხოვრება მომიწია და ჩემდა საბედნიეროდ, მივხვდი, თუ რარიგად სხვა, გაცილებით მოწესრიგებულ სამყაროში, გაცილებით გულისყურიან ადამიანებში მოვხვდი. ადამიანებში, რომლებმაც ნამდვილად იციან, თუ რატომ მოვიდნენ და რატომ ცხოვრობენ იქ, სადაც ცხოვრობენ! ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც იმ ქვეყანაში ჩასვლამდე, ზერელე ინფორმაციის გამოისობით, სულ სხვა წარმოდგენა მქონდა მათზე...

**მაგრამ ჩვენ როგორები ვართ?** – ეს არის ჩემთვის ახლა მთავარი. გულუბრყვილოები ვართ-მეთქი, – ხშირად მითქვამს, მაგრამ ის, რაც ჩვენ გვჭირს, არა ჰგავს მთლად გულუბრყვილობას. ვიცით კი, რატომ მოგვავლინა უფალმა ჩვენს ულამაზეს მიწა-წყალზე, ვიცით კი, ვინა ვართ და რანი ვართ? ამ და ასეთი საკითხებით დაინტერესებულმა ზოგიერთმა მკვლევარმა, ნაცარქექია მიიჩნია ქართველი კაცის პროტოტიპად. ხერხი რომ სჯობს ღონეს – ეს სენტენცია არ არის გასაკვირი მსოფლიოს ნებისმიერი ბინადარისთვის, ამ მიზანს, ანუ ხერხით და არა ღონისა და ძალის გამოყენებით თანაცხოვრებას, ემსახურება სწორედ დიპლომატიური სკოლები და ინსტიტუტები, მაგრამ ამ და ასეთი ხელოვნების დაუფლებას დიდი შრომა, გონება და ინტელექტი სჭირდება და მხოლოდ ნაცრის ქექვით, ანუ უქნარობითა და სიზარმაცით წარმოუდგენელია მოვიპოვოთ „ხერხი" და დავუპირისპიროთ „ღონეს". ვიცით ჩვენ ეს! ასეთმა უგუნურმა დაპირისპირებამ, აჩქარებამ, ვითომ იმ ზღაპრული „ხერხის" მიგნებამ, ადვილი გზით სასურველის მოპოვების მცდელობამ დაგვაკარგვინა ჩვენი სამშობლოს ულამაზესი, ისტორიული მხარეები!.. ვაი, თუ, მართლა ნაცარქექიები ვართ! არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ სად წაუხვალ დღევანდელობას. ქუჩაში გამოყრილი, დაჩიავებული, დაბეჩავებული, ან მათხოვრადქცეული ხალხი – რაზე მეტყველებს ეს სურათი? ნუთუ მხოლოდ მთავრობის შეცდომებზე, მათ ნაკლსა და უუნარობაზე, თუ ქართული ყოფიერების ეს თვალშისაცემი სურათი ხალხის ზნეობასა და ხასიათზეც მიუთითებს?

ამ ზაფხულს ვაკის პარკში, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვნახე თვეობით გაშლილი კარვები. ერთ-ერთი კარავი ვიცით, რომ იმ ახალგაზრდების ჯგუფს ეკუთვნოდა



(სულ რამდენიმე ხნის წინათ აიღეს), რომელიც პარკში თუ პარკთან წამოწყებული შვიდსართულიანი სასტუმროს მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა და რომელთაც მთელი დედაქალაქი, დაინტერესებულ პირთა გარდა, მხარს უჭერდა (ეს კიდევ სხვა თემაა!). დანარჩენი კარვები კი უცხოელი ტურისტებისა იყო. ამ უკანასკნელებმა, როგორც კი ზამთრის პირი დადგა, კარვებიც აშალეს. მაგრამ, სიცივეებისა და თავსხმა წვიმების მიუხედავად, დღემდე ერთ პაწია კარავში ორი ადამიანი ცხოვრობს, კოცონს ანთებენ, საუზმეს იმზადებენ, თბებიან და ასე შემდეგ. ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ვაკის ტყე-პარკში გამხმარ ხეებს და ფიჩხს რა დალევს, იმოდენა ნაცარი დაუგროვდათ, იმის ქექვაც ეხალისებათ, როგორც ჩანს! არ ვიცი, ვინ უნდა იყო, გაჭირვებული ადამიანი არ შეგებრალოს, მაგრამ, ორი სალსალამათი კაცი (თურმე მამა-შვილი) სანამ აპირებს ასეთ ცხოვრებას? ასე მოგვწონსო, მითხრეს... ამ ამბავმა ჩვენი ცნობილი გმირი – ნაცარქექია გამახსენა.

**მოდი, ვიფიქროთ: რა, ვითომ მხოლოდ გაჭირვება, უსახსრობა, უმუშევრობა და შიმშილია მიზეზი იმისა, რომ ათასობით ადამიანი თავის მიწას, თავის სოფელს, თავის მშობლიურ მიდამოს მოწყდა და ხელგაშვერილი მიადგა დედაქალაქის ხალხმრავალ ადგილებს, ეკლესიებს, ბანკებს, მაღაზიებს ( და ასე შემდეგ )? თუ არის კიდევ სხვა მიზეზი, რაც თავმოყვარეობას ადვილად დაგაკარგვინებს? ხომ არ არის „ნაცარქექიაობის" სინდრომი სიზარმაცე, შრომის უარყოფა და ლუკმაპურის მოპოვების ადვილი გზა?** დიახ, რაღაცა ჰგავს ნაცარქექიას, მაგრამ მთლად არა. ნაცარქექია დევებს „შეებრძოლა", თავისი ხერხების გამოყენებით, გაიმარჯვა კიდეც და ნაალაფარი მგონი, რამდენადაც მახსოვს, ძმებსაც გაუნაწილა... არ დაცემულა და მათხოვრობა არ დაუწყია უსახლკაროდ დარჩენილს. აი, ასეთი ტიპაჟი შემოგვინახა



ქართულმა ფოლკლორმა.

დიდმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა უფრო დახვეწილი ლიტერატურული ხერხებით, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით დაგვიხატა სახე კვაჭი კვაჭანტირაძისა, ინტერესით წაგვაკითხა მისი სათავგადასავლო ეპიზოდები, ბევრი გვაცინა და გვამხიარულა კვაჭის ოინებითა და, ეგრეთ წოდებული, მოხერხებულობით, მაგრამ იქვე, საკმაოდ მკაცრად, თითიც დაგვიქნია: ფრთხილად იყავით, ქართველებო, ასეთებს ნუ გავიმრავლებთო! ხოლო **„ჯაყოს ხიზნები" – ეს იყო ქართველი ერის გამოწვევა, დიდი მოაზროვნის მიერ ატეხილი განგაში! აი, თურმე რა ადვილად შეიძლება ადამიანის დაბრიყვება, თავის მამულშივე მისი ხიზნად ქცევა, გადაგვარება, დიახ, ქართველ დიდებულთა შთამომავალს, განათლებულ და წიგნიერ თეიმურაზ ხიდისთავს პოლიტიკურმა სიახლემ ტალღასავით გადაუარა, დააკარგვინა ოჯახი, მშობლები, მეგობარი- მეუღლე და, რაც მთავარია, საკუთარი თავი.** მართალია, მას ფიზიკურად შერჩა ფორმა ადამიანისა, მაგრამ ის არ იყო კაცი და რა საკვირველია, არც ადამიანი... და ნუთუ მხოლოდ პოლიტიკური სიახლის მიზეზით, თუ ...

სამწუხაროდ და სავალალოდ, მეჩვენება, რომ ჩვენი ხალხი, ორი რადიკალურად განსხვავებული თვისებით, ხასიათით: უთავმოყვარეობით და პატივმოყვარეობით (და არა თავმოყვარეობით!) „ დაჯილდოებული" ყოფილა. მაგრამ, მაშ, ვინ და რამ მოიყვანა ქართველი ერი აქამდე? რამდენი თავდადებული, რამდენი, მზრუნველი და მოამაგე, მამულიშვილი, რამდენი გმირი, წინამძღოლი და მოძღვარი გვყავდა და კვლავაც გვეყოლება, მაგრამ, ახლა რა ხდება? **როგორც ჩანს, ხდება ის, რომ ყურად არ ვილეთ ჯავახიშვილთა და ჭავჭავაძეთა მოწოდებანი, გავიმრავლეთ „კვაჭები", „ნაცარქექიები", ყოველივე ეს გამოიყენეს თანამედროვე ჯაყოებმა და ჩვენი სამშობლოს საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებით აგვივსეს, ჯაყოს ხიზნებით! ის კვაჭები კი, რომლებიც ჩვენვე გამოვზარდეთ, არხეინად გრძნობენ თავს და ეწევიან კვაჭურ საქმიანობას არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ ყველგან, ევროპასა და ამერიკაში, სადაც კი მოესურვებათ. არად დაგიდევენ არც სამშობლოს და არც მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.**

**რანი ვართ-მეთქი, ვკითხულობ... და რას ვაპირებთ მომავალში? ეს არის საინტერესო!**

რამდენიმე ათეული წლის წინათ, პირველად ჩემს ცხოვრებაში, მოვხვდი ქვიშხეთში. სოფლის, ანუ ამ ლამაზი დაბის დასათვალიერებლად გამოსულს ადგილობრივები მხვდებოდნენ და გულითადად, კარგი ნაცნობივით მესალმებოდნენ. ამას დაემატა დიასახლისის ნათქვამიც: კარს გასაღებით ნუ დაკეტავ, საშიში არაფერიაო. ამ ფაქტებმა ეს ჩემი დღემდე უცნობი თანამემამულენი გამიმშობლიურა და შემაყვარა. ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინდელ საქართველოში, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ... – ორმოცდაათიან წლებში. ქალაქშიც, დღევანდელთან შედარებით, მეტი სითბო და ყურადღება იგრძნობოდა. დღეს კი, არა მგონია, რომ ვინმემ, შენმა უბნელმა, ან შენმა სოფლელმა კეთილი სალამი მოგცეს და გამარჯვება გისურვოს. თუ მოგესალმა, დარწმუნებული იყავი, წინასწარ იცის, ვინცა ხარ, რამდენად „საჭირო" ადამიანი ხარ და თუ იმ დღესვე არა, ცოტა ხანში რაღაცის სათხოვნელად, თავის სასარგებლო საქმის გასაკეთებლად, მოსაგვარებლად მოგადგება.

**უსალმოები, „კლანობიას" და არა ერთმანეთის მოყვარულები. განცალკევებულნი, ქვითკირის ღობეშემოვლებულნი, ჩვენი ადათ-წესების უარმყოფელნი... კარგა ხანია, ასეთები გავხდით, ეს თვისებები უფრო წარმოვაჩინეთ ... წარმოვაჩინეთ რომელია! ყოველ საღამოს სპექტაკლებს გვიდგამენ თავად პარლამენტარები მედიის ხელშეწყობით., პოლიტიკური სანახობებით „გვართობენ"!** დიახ, თამაშის მონაწილენი კი ჩვენს მიერ არჩეულები არიან. სამწუხაროდ, იგივე უსალმოები, ჩაკეტილები, კლანობანას მოყვარულები, ანუ შემოსავლიან საქმეში მხოლოდ სიძე-სიმამრ-სიდედრის შემომკრებნი, მხოლოდ მათი დამსაქმებელნი (ახლა „ნეპოტიზმს" რომ ეძახიან), ხალხის ხმის უგულებელმყოფნი... არადა, სახელმწიფოს და მასში მცხოვრებ ხალხს აუცილებლად ესაჭიროება მმართველი ძალა, წინამძღოლი, ეს ძალა უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მორალის ფუძემდებელი.



უზნეო და უწესრიგო ადამიანების მითითებებს, მათ მიერ შექმნილ კანონს ზემოქმედების ძალა არა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის აღზრდა ოჯახიდან იწყება და შემდეგ გრძელდება აღმზრდელობით ორგანიზაციებში, მაგრამ აღზრდის ამ საწყისი ინსტანციების ყოველგვარი შრომა წყალშია ჩაყრილი თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამართლიანი კანონები არ ასწესრიგებს ხალხის ყოფის კულტურას. მაგრამ, როცა სათავეში მსხდომნი თავად არიან უსამართლონი და უზნეონი, ხალხიც უზნეურდება. აი, ამ დროს არის სწორედ, როდესაც ადამიანები არად დაგიდევენ კანონებსა და ადვილად ივიწყებენ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ იმ ადათებსაც. რომლის წყალობითაც წესრიგს ამყარებდნენ ოჯახში, სოფლად თუ ქალაქად.

**უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი მიწიერი არსებაა და მას გზა თუ არ უჩვენე, მიმართულება თუ არ მიეცი, უამრავ შეცდომას დაუშვებს მანამ, სანამ თავადვე მიხვდება და შეიძენს საჭირო ცოდნას. ჩვენ ევროპისკენ მივილტვით, მეტიც! ვამბობთ, რომ ევროპელები ვართო! მაგრამ გადავხედოთ ახლა იმ ევროპას, რომლისკენაც მივილტვით და ვთქვათ სიმართლე – ვინ ააშენა იგი ასეთი მიმზიდველი და საადამიანო ცხოვრებისთვის თითქმის სრულყოფილი? რა თქმა უნდა, თავად ევროპელებმა! გზა და მიმართულება ამ სრულყოფისაკენ სახელმწიფოებრივმა კანონებმა მისცეს, სანდო და სამართლიანმა კანონებმა, რომელმაც ხალხიც და ამ კანონების შემქმნელნიც ერთ თანასწორუფლებიან წრეში მოაქცია.** ისე კი არა, აქ რომ არის, პენსიონერს 150 ლარი, მეცნიერს 1000 (თუნდაც 2000, რაც იშვიათია!) და 15 ათასი, პრემიები, დანამატები, შეღავათები ჩინოვნიკებს, სახელმწიფო მოხელეებსო. აი, ახლა ამ წუთში ინტერნეტში ვკითხულობ, რომ ერთ-ერთი უნივერსიტეტი 2015 წლის ჯანმრთელობის დაზღვევის ძირითადი პაკეტის ღირებულებას სრულად გადაუხდის აკადემიურ პერსონალს, ანუ შედარებით მაღალ ხელფასიან პროფესორებს, დანარჩენი პერსონალი (მათ შორის, მოიაზრებიან დაბალხელფასიანი მუშაკები), დაზღვევით სარგებლობის შემთხვევაში ხელფასიდან დაფარავს დაზღვევის ღირებულებას... თუ კარგად დავუკვირდებით, ეს მაგალითიც მიგვანიშნებს ჩვენს „სამართლიან" ბუნებაზე და ამ ბუნებაზე დაყრდნობით შექმნილ ჩვენეულ დემოკრატიულ კანონებსა და წესებზე... ვერავითარ ევროპას ვერ ავაშენებთ. ეჰ... დემოკრატიას კი არადა, ხელს ვუწყობთ „კვაჭობას" და მაიმუნობას. უნივერსიტეტმა და ნებისმიერმა დაწესებულებამ თუ ორგანიზაციამ ერთნაირად უნდა იფიქრონ ადამიანზე, მის შემოსავალზე, როგორი ცენზის მატარებელიც არ უნდა იყოს იგი!

**ამასობაში, თითქმის, მიწურულა ძველი წელი, მოგვახლოებია ორიათასთხუთმეტიც!**

**გილოცავთ ძვირფასებო, ყველას გილოცავთ : პენსიონერებს, უხელფასოებს, ხელფასიანებს!.. ჩვენს სატკივარზე საუბარს რა დაგვილევს, მაგრამ არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა არ ვთქვა შობის დღესასწაულზე, რომელიც უკვე იზეიმა ქრისტიანული სამყაროს დიდმა ნაწილმა. მეჩვენება, რომ მგონი, აქაც ვცოდავთ, უფრო სწორად, ჩამოვრჩებით ევროპას (და არა რუსეთს!). ეს დიდი თემაა...**

**ნეტავ, მართლა ვინა ვართ!**

**ვაი თუ, ვერც ვერასოდეს გავხდეთ ევროპელები, შრომის, დასვენების, დროის ფასის მცოდნენი...**

**გულნარა სტურუა**

◎ ალიანჩალიანი

## საქართველოდან ისრაელში საშობაოდ მომლოცველები ჩავლენ

როგორც საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტიდან, ისრაელში საშობაო ტურის ხელმძღვანელმა, მარიამ გოგიშვილმა განაცხადა, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საშობაო ტურში სულ 31 მომლოცველია; მათ შორის, სასულიერო პირებიც. ტური ისრაელში 4 იანვარს დაიწყება და 11 იანვარს დასრულდება. მისივე თქმით, საშობაო ტურის ორგანიზებისას პრობლემა არ შექმნიათ, რადგან საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო რეჟიმია.

გოგიშვილის განცხადებით, მომლოცველთა ჯგუფში მყოფი პირების დოკუმენტაცია საქართველოში ისრაელის საელჩოში გადააგზავნეს, რის შემდეგაც თანხმობა მიიღეს. საპატრიარქოს ტურის მონაწილეები ერთი კვირის განმავლობაში ისრაელში მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებსა და სიწმინდეებს მოილოცავენ.

ინტერპრესი





# რა ღირს ახალი წლის დღეებში თოვლის პაპის, სანტასა და ფიფქიას გამოძახება?

**შობა-ახალი წლის დღეები ყველაზე მეტად პატარებს უხარიათ, ამიტომ ამ დროს ძალიან პოპულარული ხდება სერვისი — „თოვლის ბაბუა გამოძახებით". თუ საამისო ფინანსური შესაძლებლობა გაქვთ, ამ სერვისის წყალობით შეძლებთ თქვენს პატარებს ნამდვილი დღესასწაული აჩუქოთ: თოვლის პაპასთან ერთად, რომლის სტუმრობაც საშუალოდ 30-50 ლარი ღირს, ბავშვებს ახალ წელს მიულოცავს ფიფქია — მისი გამოძახება 20-25 ლარი დაგიჯდებათ, ასევე კლოუნი, მეკობრე, სპაიდერმენი, მიკი მაუსი და სხვები — მათი გამოძახება 30-40 ლარამდე ღირს. hpn.ge რამდენიმე შპს-ს დაუკავშირდა, რომელიც ამ საქმით არის დაკავებული, აღმოჩნდა, რომ საახალწლოდ ამ ბიზნესში მარტო ბავშვთა გასართობი ცენტრები და ფირმები კი არა, კერძო პირებიც აქტიურად ერთვებიან, მათი ფასებიც, შესაბამისად, განსხვავებულია.**

შპს გასართობი ავტობუსის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მიხეილ ყიფიანი ამბობს, რომ ბავშვებისათვის ახალი წლის მილოცვა ყველა თოვლის პაპისათვის დიდი სიხარული და სიამოვნებაა:

**— როგორც წესი, გამოძახებები 15 დეკემბრიდან იწყება, რადგან ამ დროს საბავშვო ბაღებში საახალწლო ზეიმები იმართება. მომდევნო დღეებში მათი რიცხვი კიდევ უფრო იზრდება და 31 დეკემბერს, საღამოს, მაქსიმუმს აღწევს. ძველით ახალ წელს გამოძახებების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, მაგრამ მაინც არის. ყველაზე ხშირად საბავშვო ბაღებსა და ოჯახებში გვეძახიან. ჩვენც, შესაბამისი საახალწლო პროგრამები გვაქვს, რომლითაც პატარებს ვართობთ. თოვლის პაპის გამოძახება ჩვენთან 50 ლარი ღირს. მხოლოდ ამ თანხის გადახდის შემთხვევაში თოვლის პაპა მიდის და უბრალოდ ულოცავს ბავშვებს, ყოველგვარი გასართობი პროგრამის გარეშე. ფიფქია და სხვა დამატებითი პერსონაჟები, რომლებიც ბავშვებს გამორჩეულად უყვართ, 20-30 ლარი ღირს. თუ ორი დამატებითი პერსონაჟია, მაშინ მშობლებს 40 ლარის გადახდა უწევთ. სულ სხვა საქმეა, როდესაც თოვლის პაპამ ბევრი ბავშვი უნდა გაართოს, ხანდახან 100-200 ბავშვიც იყრის თავს. ამ დროს თოვლის პაპას ანიმატორი და დამხმარე სჭირდება, ამიტომ, გამოძახების ღირებულებაც იზრდება და 300-350 ლარამდე ადის. ყველაფერი ბავშვების რაოდენობასა და პროგრამის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.**

მიხეილ ყიფიანის თქმით, მათ ფირმაში ძირითადად სტუდენტები არიან დასაქმებული, რომლებთანაც ერთჯერადი ხელშეკრულებები ფორმდება:

**— ჩვენს „თოვლის პაპებს" სტაბილური შემოსავალი არა აქვთ, ისინი სტუდენტები არიან. ოღონდ ძალიან ენერგიულ და ხალისიან ადამიანებს ვარჩევთ, რომ მათთან ბავშვებმა არ მოიწყინონ. თოვლის პაპის ანაზღაურება 20 ლარიდან იწყება და უფრო მეტიც ღირს, გააჩნია რა ტიპის გამოძახებაზე ვაგზავნით. საერთოდ, ჩვენი თოვლის პაპები ყოველ წელიწადს ძალიან დაკავებულები არიან, ახლაც, თითქმის ყველა მათგანს დიდ ღონისძიებებში უწევს მონაწილეობის მიღება. ბავშვების გართობა და გახალისება - ეს ჩვენი საქმეა, რომელიც დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.**

> **საახალწლოდ ამ ბიზნესში მარტო ბავშვთა გასართობი ცენტრები და ფირმები კი არა, კერძო პირებიც აქტიურად ერთვებიან**

უკვე ოცი წელია, ამავე საქმეს ემსახურება მედეა ჩახავას სახელობის თეატრალური კინოაკადემიის ხელმძღვანელი **ბესიკ ხინთიბიძეც:**

**— ეს სულაც არ არის ახალი საქმე, თოვლის პაპებს 1980-იან წლებშიც იძახებდნენ, როგორც სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, ასევე ოჯახებში. ჩვენც, უკვე ორი ათწლეულია ამ საქმეს ვემსახურებით და ვცდილობთ, ბავშვები გავახაროთ. გვაქვს სასწავლებელი, სადაც მომავალ მსახიობებს, რეჟისორებსა და ოპერატორებს ვამზადებთ. ჩვენი თოვლის ბაბუები ძირითადად ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები და სტუდენტები არიან. თოვლის პაპის გამოძახება ჩვენთანაც 50 ლარი ღირს — აქ შედის საჩუქარი, გასართობი პროგრამა, ბავშვის დალოცვა, ოჯახისა და ჭერის დალოცვა, ლექსები, თამაშები, გამოცანები და ა.შ... თუ მასპინძელი სურვილს გამოთქვამს, მაშინ ოჯახში ფიფქიაც მიდის და მომსახურება უკვე 100 ლარი ხდება. თოვლის პაპაც გვყავს და სანტაც, რადგან ბოლო წლებში სანტა კლაუსზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე ტრადიციულ, ქართველ თოვლის პაპაზე, რაც ცოტა არ იყოს, საწყენია.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა ფირმებისა და გასართობი ცენტრებისა, ამ საქმეში ძალიან ბევრი კერძო პირია ჩართული. ისინი შობა-ახალი წლის დღეებში თოვლის პაპებად გარდაიქმნებიან, ბავშვებსაც სტუმრობენ და ამ გზით ნაშოვნი თანხით ოჯახის წევრებსაც ახარებენ. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ:

**ლაშა გიორგაძე :** 34 წლის ვარ, არც კერძო ფირმაში ვმუშაობ და არც რომელიმე გასართობ ცენტრს ვემსახურები, მაგრამ უკვე მეორე წელია, რაც ამ საქმეს ვეწევი. ისე მძღოლი ვარ, თუმცა, საახალწლოდ თოვლის ბაბუობით ნაშოვნი თანხა ჩემს შემოსავალს ემატება. მე და ჩემი ახლო ნათესავი ერთად ვმუშაობთ. გამოძახება 30-40 ლარი ღირს, გააჩნია, რომელ საათზე უნდა მივიდეთ, ან რა პროგრამა სურთ. წელს, მაგალითად, 31 დეკემბერს, 1-ის 15 წუთზე ერთი შეკვეთა უკვე გვაქვს, თუ გარეუბანში გვეძახიან, ამ შემთხვევაში მომსახურება ძვირდება და 60-70 ლარი ღირს. თუმცა, მოლაპარაკების შემთხვევაში თანხის დაკლებაც შეიძლება. უკვე რამდენიმე დღეა, რაც მე და ჩემი ახლობელი გამოძახებებზე დავდივართ, ფიფქიაც გვყავს, რომელიც 12-13 წლისაა — ისიც ჩვენი ახლო ნათესავია. პროფესიონალები არა ვართ, მოყვარულები ვართ, მაგრამ ოჯახში ორი პატარა მყავს და ბავშვებთან ურთიერთობა არ მიჭირს. როდესაც მათ ბედნიერ სახეებს ვხედავ, ვხვდები, რომ თოვლის ბაბუობა ძალიან სასიამოვნო რამ არის.

ქუთაისელი **გვანცა მანაგაძე** ამბობს, რომ მეორე წელია, გამოძახებებზე მიდიან და წელს უკვე მრავალი ბავშვი გაახარეს თავიანთი სტუმრობით:

**— თავდაპირველად ეს იდეა მე გამიჩნდა, მერე უკვე მეგობრებიც მხარში ამომიდგნენ და დამეხმარნენ. ინტერნეტში დავდეთ ჩვენი განცხადება, რომელსაც უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ხალხი სხვადასხვა ქალაქიდან გვეხმიანებოდა, მაგრამ ჩვენ ქუთაისში ვცხოვრობთ, ამიტომ უამრავ ადამიანს ვუთხარით უარი. ქუთაისშიც ძალიან ბევრი გამოძახება გვაქვს, უკვე ვიყავით 6-7 საბავშვო ბაღში, 18 დეკემბრის შემდეგ ბაღებში ძალიან ბევრი გამოძახება გვქონდა.**

გვანცა მანაგაძის თქმით, ეს საკმაოდ შემოსავლიანი საქმეა, რადგან ყველას სურს მისი შვილისთვის შობა-ახალი წელი განუმეორებელ მოგონებად დარჩეს:

**— დეკემბრის ბოლო დღეებიდან მოყოლებული 7 იანვრამდე თითქმის ყველა დღე დაკავებული გვაქვს, საახალწლოდ ძალიან ბევრი გამოძახება გვაქვს ოჯახებში. ჩვენ იმ ბავშვებთან გვაქვს ურთიერთობა, ვისაც სჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს და ვცდილობთ, მისი სტუმრობა ლამაზად დავამახსოვროთ. ჩვენი თოვლის პაპის სტუმრობა 30 ლარი ღირს, ხოლო ორი ფიფქია - 30 ლარი. ისინი ერთად დადიან, ერთი პროგრამა აქვთ და მათი გამოძახება სულ 60 ლარი ჯდება. ბაღებში და სახლებში საჩუქრებს წინასწარ გვახვედრებენ, 40-წუთიანი პროგრამა გვაქვს და სულ 6 ჯგუფი გვყავს — 6 თოვლის პაპა და 12 ფიფქია. გამოძახებებზე ახლომახლო რაიონებშიც მივდივართ, ასეთ დროს მგზავრობის ფულს მასპინძელი ანაზღაურებს. სხვათა შორის, დუშეთშიც კი გვქონდა 31 დეკემბერს ერთი გამოძახება, მაგრამ ამხელა გზაზე ვერ წავიდოდით მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები გზის ფულის ანაზღაურებას გვპირდებოდნენ.**

**ხათუნა ჩიგოგიძე.**

**P. S. აშკარაა, რომ შობა-ახალი წლის დღეებში თოვლის პაპებისა და სანტა კლაუსების დეფიციტი ნამდვილად არ გვექნება... ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ახალი წელი მივულოცოთ დიდებსაც, პატარებსაც და იმ ადამიანებს, რომლებიც ამ დღეებში თოვლის პაპებად, ფიფქიებად, სხვა ზღაპრულ პერსონაჟებად გადაიქცევიან და პატარებს დიდ სიხარულს მიანიჭებენ.**

**ხ. ჩ.**

◎ საახალწლო განწყობა

# ხალხიც არ დაივიწყოთ, ხალხის მსახურნო!

**2014 წელი საქართველოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში მრავალი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენით იყო გამორჩეული. მათგან ზოგიერთის, თუნდაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების უდიდესი ზეგავლენა, მომავალში უფრო მკვეთრად აისახება ჩვენს საგარეო ურთიერთობებზე, ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრებაზე.**

**რას ფიქრობენ ისინი განვლილი წლის განმავლობაში განვითარებულ საგარეო თუ შიდა პროცესებზე, საკუთარ ყოფაზე, რა იმედებს ამყარებენ მომავალზე — ეს და კიდევ მრავალი სხვა საკითხი ჩვენი ტრადიციული საახალწლო გამოკითხვის თემატიკა იყო, რომლითაც თბილისელებს მივმართეთ.**

**თამაზ წულუკიძე, მოსამსახურე, 46 წლის;**

— ვფიქრობ, საქართველოს საგარეო ასპარეზზე უკეთ მისდის საქმე, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება დიდი საქმეა, თუმცა, ნატოში არა მგონია, მიგვიღონ, რომ უნდოდეთ, ამას იზამდნენ კიდეც. ქვეყნის შიგნით, აბა, მე რა გითხრათ, თავადაც ხედავთ, ხალხი რა დღეშია, უჭირს ბევრს, უჭირს!

**ნანა თორაძე, დიასახლისი, 65 წლის:**

— მადლობა ღმერთს, ჩემი ოჯახისთვის ეს წელი ბედნიერი იყო — შვილიშვილი გავათხოვეთ. რამდენიმე დღის წინათ შვილთაშვილიც შეგვეძინა, სიხარულით ცას ვართ ნაწევი ყველანი! ღვთისმშობელს ვთხოვ, საქართველოში, მთელ მსოფლიოში ყველა ოჯახი იყოს ბედნიერი!

**ალბერტ მოვსესიანი, გარემოვაჭრე, 39 წლის:**

— ახალი წელი კარგია, მხიარულობს ხალხი, საზეიმოდ ემზადება, მაგრამ იცით, რა? კაი ხასიათზე ის არის, ვისაც ფული აქვს, გაჭირვებულ კაცს ეგრევე ეტყობა, რომ მოდის — ბევრს უყურებს, ცოტას ყიდულობს. „ფაშისტები" კი, აჰა, სავსე-სავსე ჩანთებით მიდიან. მაინც ღმერთმა ყველას გაუმარჯოს— მდიდარსაც, ღარიბსაც, მაგრამ უფულო კაცს მაინც შველა უნდა!



**რამაზ ხუნდაძე, ფსიქოლოგი, 70 წლის:**

— რა არის იცით? ქართველებმა ჭკუა ვერ ვისწავლეთ — ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება! კაცმა რომ გვკითხოს, ყველაზე განათლებული, ნიჭიერი, შესახედი, გონიერი და კიდევ ათასი სხვა ღირსებით შემკული ერი ვართ. საწინააღმდეგოდ როგორ დავასველებ ენას! მაგრამ გონიერება აშკარად რომ გვაკლია, ესეც ხომ ნაღდია? თორემ რას ავყოლივართ ჩვენივე გარეკილ ნაცბანდას, რუსეთს მაინც რას ვეყინჩებით? ყველაფერი ხომ არ შეიძლება იმის საამებლად კეთდებოდეს, ვინც ცალი ხელით ცოტ-ცოტა ფულს გვაძლევს, მეორეთი კი თვითმყოფადობას, უწინარესად, რჯულსა და პაპისეულ წეს-ჩვეულებებს გვიგუდავს და რუსის დათვთან გვაჭიდავებს?



**დენის ფუტკარაძე, მძღოლი, 47 წლის:**

— სიმართლე გითხრათ, ჩემო ბატონო, თითქმის ნახევარ საუკუნეს მივაღწიე, მაგრამ ჯერ არ მახსოვს რომელიმე წელი წინას სჯობდეს, ცხოვრება უფრო იოლდებოდეს. ყოველ წელს ახალი საზრუნავი, ახალი დარდი, ახალი საფიქრალი გვემატება, ყველაფერი ძვირდება, ხალხს კი ფული არა აქვს. ვერ გამიგია, ეს მთავრობა რას აკეთებს, მარტო თავიანთ „კაშილოკებზე" რომ ფიქრობენ, ხალხზე ზრუნვა როდის უნდა დაიწყონ? ან ერთმანეთში რას ჩხუბობენ ამდენს, რით ვერ დადგნენ ერთმანეთის გვერდით ჯიგრულად და რით ვერ დაიწყეს ქვეყნის დალაგება?

**ილიკო ნებიერიძე, სტუდენტი, 20 წლის:**

— მეც და ჩემს მეგობრებსაც გვიხარია ახალი წელი, იმიტომ რომ ის უდარდელ ბავშვობასა და სკოლის ბედნიერ წლებს გვაგონებს. გაისად უნივერსიტეტს ვამთავრებ, სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ მინდა, ვნახოთ, როგორ გამომივა. ყველა ჩემს ახლობელს, მეგობარს, ნათესავს, სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ, 2015 წელს! ბედნიერება მოეტანოს მას ყველა ოჯახისთვის!

ესაუბრა
**ოთარ მერიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას უნდა ველოდოთ 2015 წლისგან?

## – ასტროლოგიური პროგნოზი მიხეილ ცაგარელისგან



**დამდეგი 2015 წელი მწვანე თხის წელია. როგორც ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა აღნიშნა, წელს ადამიანებს გაუძნელდებათ ამა თუ იმ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა, რადგანაც თხა ჯიუტი ცხოველია. ასტროლოგი გვირჩევს თუ როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელიწადს, ამასთან, ის ქართული პოლიტიკის ასპარეზზე ახალი ძალის გამოჩენას პროგნოზირებს.**

### როგორ გავაცილოთ 2014 წელი?

**თუ ნამდვილი, ძველი ქართული გაცილება გნებავთ, მაშინ ეს წელი 21 დეკემბერს უნდა გააცილოთ, როდესაც მზე თავის განვითარებას ასრულებს. ეს არის ძველი მზის კვდომის პერიოდი. ქართველები სწორედ ამ დროს აცილებდნენ ძველ წელს და 23-24 დეკემბრიდან ახალი წლისადმი პატივისცემის მიგება სპეციალური რიტუალებით იწყებოდა.**

ჩვენ ეს ყველაფერი დავივიწყეთ, ამიტომ ვხვდებით ახალ წელს 31 დეკემბერს, თუმცა, ძველი წლის გაცილება უფრო სწორი 21-23 დეკემბერს იქნებოდა.

### როგორი სუფრით უნდა შევხვდეთ ახალ წელს? ხომ არ უნდა გვქონდეს რაიმე განსაკუთრებული ატრიბუტი?

**სუფრაზე განსაკუთრებული არაფერი გვჭირდება იმიტომ, რომ აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, თხის წელი მხოლოდ 19 თებერვლიდან იწყება, ანუ 31 დეკემბერს ჯერ კიდევ ცხენის წელია, ამიტომ სუფრასთან ცხენისთვის დამახასიათებელი ელემენტები იქნება საჭირო.**



მთავარია, სუფრაზე არ იყოს ცხვრისა და ცხენის ხორცი, დანარჩენი, ყველაფერი შეგიძლიათ გამოიყენოთ, რაც გნებავთ.

კარგი იქნება, თუ ახალ წელს ოჯახში შევხვდებით, საყვარელ ადამიანებთან ერთად. კარგი იქნება ასევე მისი ბუნებაში აღნიშვნაც

აუცილებელია ახალი წლის ღამეს მხიარულება, თავისუფლება, იუმორი, ცეკვა.

აუცილებელია, 31 დეკემბერს სუფრაზე ცხენისა და თხის სიმბოლიკა გვქონდეს, ხოლო 19 თებერვლიდან მხოლოდ თხა დარჩება.

### ზოგადად, როგორი იქნება 2015 წელი?

**ეს წელი არ იქნება ისეთი აქტიური და ენერგიული, როგორიც ცხენის წელიწადი. ზოგადად, ცხენი ძალიან ენერგიულია, ტემპსაც უმატებს და სიგიჟეებიც ახასიათებს. თხა უფრო წყნარია, თუმცა, უფრო ჯიუტიც, ამიტომ მოლაპარაკებები ადვილად არ წარიმართება. სიჯიუტე ორივე მხრიდან თვალშისაცემი იქნება, ამიტომ ესა თუ ის საკითხი კარგა ხანს შეიძლება ვერ გადაწყდეს.**

სამაგიეროდ, მწვანე თხის წელი უფრო მშვიდი იქნება. თხას არ უყვარს აგრესია, არ უყვარს ხმაური, ამიტომ ომებს, სხვადასხვა კატაკლიზმებს, ტერორისტული აქტებს, რაც წელს საკმარისად არის და 19 თებერვლამდე კიდევ იქნება, მომავალ წელს ნაკლებად უნდა ველოდოთ. ეს არის მორბენალი ცხენის ელემენტები, რომელიც ჯირითის დროს რას გადაუვლის, კაცმა არ იცის. საერთო ჯამში, თხა უფრო მეტად დაამშვიდებს სიტუაციას და წელიწადი სტაბილური იქნება.

ითვლება, რომ 12 ზოდიაქოში თხა არის ყველაზე იღბლიანი, ფორტუნა ყველაზე მეტად თხისკენ არის, ამიტომ იმისთვის, რომ იღბალმა გაგიღიმოთ, 2015 წელი ერთ-ერთი ყველაზე კარგია. მომავალ წელს იღბალი ბევრ ადამიანს გაუღიმებს.

### როგორი იქნება 2015 წელი კლიმატის თვალსაზრისით?

**საქართველოში განსაკუთრებული კატაკლიზმები მოსალოდნელი არაა. სერიოზული მიწისძვრები ჩვენ არ გვემუქრება.**

მსოფლიოში მიწისძვრები იქნება, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც ცხენის წელიწადში.

### როგორი იქნება 2015 წელი ქართული პოლიტიკისთვის?

**ქართული პოლიტიკა ძალიან რთულ სტაგნაციის პერიოდს გადის. არის შიდა ბრძოლები, დაპირისპირებები. 2016 წლის ბოლომდე რთული პროცესები იქნება. ზოგიერთი დაკარგავს თანამდებობას, გამოჩნდებიან ახალი სახეები და ა.შ.**

ვერ გეტყვით, რომ მომავალ წელს ქართულ პოლიტიკაში რამე გადატრიალება მოხდება, ან მოვლენები დაიძაბება, მაგრამ შეიძლება იყოს სასიკეთო ძვრები, შეიძლება ამ სფეროში ახალი სისხლი მოვიდეს, რომელიც ქართულ პოლიტიკაში უფრო მეტ სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს.

შიდა დაპირისპირებები გაგრძელდება, თუმცა, ვიმეორებ, 2015 წელი 2014-თან შედარებით ნაკლებად შოკისმომგვრელი და აგრესიული იქნება.

◉ ასტროლოგთა დაკვირვებით

# მოდის ახალი, 2015 წელი და, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რას მოუტანს ლურჯი (მწვანე) თხის წელი პირადად მას და მის ოჯახს

**ვერძი** - ამ ადამიანებს გასაოცარი უნარი აქვთ, უთავბოლოდ ხარჯონ ან გააორმაგონ საკუთარი კაპიტალი.

ვერძი მზადაა, ფულის გამო თავით გადაეშვას საეჭვო ფინანსურ მაქინაციებსა და ავანტიურებში. 2015 წლის დასაწყისი, შესაძლოა, ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულთათვის ფინანსურად ნაკლებად წარმატებული იყოს.

თუმცა, მოხერხებული ვერძი სიტუაციიდან თავის დაღწევას მალე შეძლებს. შეიძლება ვერ გამდიდრდეს, მაგრამ მისთვის ფინანსურად არცთუ ისე წარუმატებელი წელი იქნება.

**კურო** - მშრომელი და ხელმომჭირნეა. 2014 წლის დანაზოგი მას დაეხმარება, რომ 2015 წლიდან ბიზნესი წამოიწყოს, რაც ნადვილად წარმატების მომტანი იქნება. გამორიცხული არ არის, რომ კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები, 2015 წელს მილიონრებად მოგვევლინონ.

**ტყუპები** - ტყუპებს აქვთ უნარი, ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთონ. ბიზნესშიც ასეა, თუმცა, ამის გამო ხშირად არ უმართლებთ. ასტროლოგები ურჩევენ, რომ კონცენტრაცია მხოლოდ ერთ საქმეზე მოახდინონ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

**კირჩხიბი** - კირჩხიბს ფული უყვარს, თანაც ძალიან. ის შემგროვებელია, თუმცა, არ იცის, როგორ უნდა დააბანდოს, რათა შემდეგ დიდი სარგებელი ნახოს. ამიტომ, კირჩხიბებს ასტროლოგები ურჩევენ, რომ დაფიქრდნენ და ფული ისეთ საქმეში ჩადონ, რაც მათ წარმატებას მოუტანთ. კირჩხიბს 2015 წელი აძლევს გამდიდრების შანსს. მთავარია, სწორად გათვალოს.

**ლომი** - როგორ უნდა გამდიდრდეს ლომი, მაშინ როცა ფიზიკური შრომა ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლებს არა მარტო არ უყვართ, უფრო მეტიც - ორგანულად ეზიზღებათ. ამიტომ, შრომა თუ არ უყვართ, იქნებ კარგი პიარი მაინც გაუკეთონ საკუთარ თავს, საიმისოდ, რომ ფინანსურ სარბიელზე წარმატებას მიაღწიონ.

**ქალწული** - ზოდიაქოს ყველაზე ფულის მშოვნელ-გამომმუშავებელი ნიშანია. დაბადებიდან ახასიათებს ეკონომიურობა, კარგი ფინანსური ალღო და ანალიტიკური აზროვნების უნარი. შეუძლია, წლების მანძილზე იმუშაოს მუყაითად საიმისოდ, რომ საკუთარი შემოსავალი არა ორჯერ ან სამჯერ, მაქსიმუმ ათჯერ მაინც გაზარდოს. ქალწულისთვის 2015 წელი არ იქნება ფინანსურად დიდად გამორჩეული, თუმცა, მას გაღარიბება ნამდვილად არ ელის.

**სასწორი** - ხშირად საკუთარი გარეგნული მონაცემების, ან არტისტული შესაძლებლობების ხარჯზე მდიდრდება. ამიტომ სასწორებმა წელს აუცილებლად სცადეთ ძალები მოდელის პროფესიაში, ან მსახიობად, თუნდაც ტელეწამყვანად. ეს აუცილებლად მოგიტანთ ფინანსურ წარმატებას, სხვა მხრივ 2015 თქვენთვის არცთუ ისე მომგებიანი იქნება.

**მორიელი** – ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის დიდი ქონების დაგროვება არცთუ რთული საქმეა. მთავარია, მათ ეს ნამდვილად მოინდომონ. მორიელისთვის 2015 ფინანსურად სუპერ წარმატებული წელია. მთავარია, შრომა არ დაეზაროთ.

**მშვილდოსანი** - მშვილდოსნებს, როგორც წესი, ფინანსებთან მიმართებაში უდარდელი და ერთობ დაუდევარი დამოკიდებულება ახასიათებთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მმართველი პლანეტის იუპიტერის გავლენით, მათ სხვებზე უფრო ხშირად უმართლებთ ცხოვრებაში ფინანსური თვალსაზრისით. მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ დაბადებულებმა 2015 წელს შეიძლება მოიგონ ლატარიაში დიდი თანხა, ბინა, ან მანქანა. მშვილდოსნებს ასტროლოგები ურჩევენ, რომ თავი შეიკავონ მფლანგველობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაკოტრდნენ.



**თხის რქა** - ზოდიაქოს ე.წ „მუშა კლასის" წარმომადგენელს, ცხოვრებაში ფინანსურ წარმატებაზე მეტად ბრწყინვალე კარიერის გაკეთება და საყოველთაო აღიარება სწყურია. 2015 მისთვის ნამდვილად წარმატებული წელი იქნება. კარიერული წინსვლა მას ფინანსურ კეთილდღეობას მოუტანს.

**მერწყული** - ფინანსურ საქმეებს, მერწყულების უმრავლესობა, როგორც წესი, ინტუიციაზე დაყრდნობით უფრო აგებს, ვიდრე ლოგიკის დახმარებით. 2015 წელს მერწყულებს ინტუიცია შესუსტებული აქვთ, ამიტომ ფულს ინტუიციაზე დაყრდნობით ნუ დააბანდებთ. თუკი ასტროლოგების რჩევას გაითვალისწინებთ, შესაძლოა, გამდიდრდეთ კიდეც.

**თევზები** - გონებაგაფანტული და ზედმეტად მეოცნებენი არიან და იშვიათად ახერხებენ ცხოვრებაში ფინანსური კუთხით განსაკუთრებული წარმატების მიღწევას. შეეშვით ოცნებას, ცხოვრებას თვალი გაუსწორეთ, გათვალეთ და ფინანსური წარმატება ნამდვილად არ დააყოვნებს. განსაკუთრებით კარგი, ამ კუთხით 2015 წლის ბოლო იქნება.

# თუ გინდათ, რომ ახალი წელი ბოლომდე „შეირგოთ“...

## ანუ იმ კერძების სია, რომლებსაც ყველაზე მეტი ზიანი მოაქვთ

ყოველ წელს ახალი წლის ღამეს სასწრაფო დახმარების სამსახურში საკმაოდ ბევრი ზარი შედის. მოქალაქეები ხან ტრავმების, ხანაც საკვებით მოწამვლის გამო რეკავენ. ბევრი იფიქრებს, დღესასწაულთან სასწრაფო დახმარება რა მოსატანიაო, მაგრამ ვისაც ეს დასჭირდა, სულ სხვანაირად ფიქრობს. თქვენც გირჩევთ, რომ უსაფრთხოების წესები არც დღესასწაულზე დაივიწყოთ. რჩევებს არც ექიმები იშურებენ. მათ შეადგინეს იმ კერძების სია, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ყველაზე მეტი ზიანი მოაქვთ. ასევე გვაფრთხილებენ, რომელი კერძების „არევა“ არ ღირს ერთმანეთში.

### ვქეიფობთ დილამდე

გულძმარვა, კუჭში სიმძიმის შეგრძნება, ზოგჯერ გულისრევა და მოწამვლა — ეს სიმპტომები ნებისმიერ სადღესასწაულო განწყობას ჩაგიშხამებთ. როგორც აღმოჩნდა, ახალი წლის ყველაზე დიდ მავნებლად ყოველ წელს ალკოჰოლური ინტოქსიკაცია სახელდება.



### რა შეიძლება მოვიმოქმედოთ, რომ სასმელი ნორმალურად შევირგოთ?

მთავარი შეცდომა, რასაც ხალხი ახალ წელს ალკოჰოლის სმის დროს უშვებს, სასმელების ერთმანეთში არევაა. უფრო სწორად, ალკოჰოლისა და გაზიანი სასმელის.

გაზიანი ბუშტუკები ალკოჰოლის სისხლში გადასვლის პროცესს აძლიერებს. ამის გამო უფრო მალე თვრებით, ნაბახუსევი კი უფრო ძლიერი გექნებათ.

### სახიფათო მაიონეზი

რა არის საახალწლო სუფრა სალათა „ოლივიეს“ გარეშე? მისი საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი გვაქვს, მაგრამ ყოჩაღი ქართველი დიასახლისები ერთი სალათით არ ვკმაყოფილდებით და შედეგად „ოლივიეს„ გვერდს უმშვენებს კრაბის სალათი, ქათმის სალათი, თევზი მაიონეზში და ასე შემდეგ. ექიმები გირჩევენ, რომ მაიონეზიანი სალათების ნაირფეროვნება შეზღუდოთ ან არაჟნითა და მცენარეული ზეთით ჩაანაცვლოთ. მაიონეზით მოწამვლები საახალწლო პერიოდში საკმაოდ ხშირია, რადგან როგორც წესი, კერძები რამდენიმე დღით რჩება ჩვენს მაცივრებში. მაიონეზი საკმაოდ მალე ფუჭდება და ხშირად მოწამვლას იწვევს. მით უმეტეს მავნებელია მაიონეზი, როცა მას ასევე ძნელად მოსანელებელ ნიგვზიან კერძებთან ერთად მიირთმევენ.

დღესასწაული შამპანურის წარმოუდგენელია. ეს სასმელი უკვე თავად არის დღესასწაული. სამაგიეროდ, „გულძმარვა“ და შებერილობა მისი ლოგიკური დასასრულია. ამიტომ 2 ბოკალზე მეტს ნუ მიირთმევთ.

### ცხიმიანი ხორცი

მწვადები, მსუქანი ინდაურის საცივი, ცივად მოხარშული ღორის ხორცი — ამ კერძებისგან თავის შეკავება მართლაც ძნელია. ყველას კუჭ-ნაწლავს ნამდვილად არ შეუძლია ამის მონელება. გახსოვდეთ ისიც, რომ ახალი წლის დღეებში ყველა კერძს უფრო მეტი რაოდენობით მიირთმევთ, ვიდრე სხვა დროს. იქნებ სცადოთ და ღორის ხორცი კურდღლით, ინდაური კი ქათმით ჩაანაცვლოთ...

კიდევ ერთი რჩევა, რომელიც ზემოხსენებულის მსგავსად ქართულ ტრადიციებთან ახლოს ვერ მოდის, მაგრამ მაინც გირჩევთ: ხორცეული ბოსტნეულის გარნირით მიირთვით. ეს მონელებას უწყობს ხელს.

### მავნე მანდარინი

ამ ციტრუსის გარეშეც ვერ დადგება ახალი წელი. სასარგებლოცაა, გემრიელიც და ანაყრებს კიდეც. მაგრამ ექიმები გაფრთხილებენ: ვისაც კუჭის წყლულის ნიშნები, კოლიტი, გასტრიტი ან ქოლეცისტიტი აწუხებს, მანდარინი ძალიან შეზღუდული რაოდენობით უნდა მიირთვას.

ასევე გაითვალისწინეთ — არ მიირთვათ მანდარინი ძირითადი კერძის შემდეგ. ხორცის „თავზე მოქცეულებს“ კუჭში ლოდინი მოუწევთ, როდის გადამუშავდება ხორცი. ეს „ლოდინის“ პროცესი ყველაზე საშინელებაა კუჭისთვის. ამიტომ მანდარინით დაიწყეთ და მსუყე კერძები მერე მიირთვით.

### წონის მატება

ბევრი საკვები კუჭში დისკომფორტს იწვევს, შესაბამისად ისეთი წამლების მიღებას ვიწყებთ, რომლებიც ფერმენტებს შეიცავს. მაგალითად, მეზიმ ფორტე, პანკრეატინი, ფესტალი, კრეონი...

ფერმენტები კი წონაში მატებას უწყობს ხელს, რადგან ორგანიზმს საკვების უკეთ შეთვისებაში ეხმარებიან. ამიტომ ფერმენტების ნაცვლად მონელების პრობლემებისას პროკინეტიკების ჯგუფის მედიკამენტები დაიხმარეთ. ისინი კუჭის კუნთებს აქტიურებენ და საკვების მონელებას აჩქარებენ.



## კაკალ გულში

### წერცილოვანი ფრაზები

● ძვირფასო სანტა! პირველ რიგში დიდი მადლობა 2014 წლისთვის, გთხოვ; 2015 წელი ყველა ჩემთვის ძვირფასი (და არამარტო) ადამიანისთვის იყოს ერთ-ერთი საუკეთესო . არ მოშივდეს არც ერთ ბავშვს, იყვნენ თბილად და მშვიდად. დაშორებულები შერიგდნენ, შერიგებულები დაქორწინდნენ, დაქორწინებულები გამრავლდნენ, გამრავლებულებს ჯანმრთელად ჰყავდეთ პატარები, კიდე... მიშა დაიჭირონ, დანარჩენს ჩვენ მივხედავთ. ყოველთვის მისრულებდი სურვილებს, მჯერა; წელსაც არ იქნება გამონაკლისი.



● აღარ შემიძლია; აკრძალეთ ეს ასაფეთქებლები; ან ქენით რამე! ჯერ რამდენჯერ გასაფენი სარეცხი გამივარდა ხელიდან, მერე ოფიციალური ყრუ-მუნჯი ვარ უკვე. ტაშს ჟესტების ენაზე ვუკრავ — ავწევ ორივე ხელს და ვატრიალებ მაჯებში.

● დაუპარლამენტა! („დაუპადიეზდას“-“თანამედროვე ვარიანტი).

● — დასცხეთ ბიჭებო, ცოცხები აქვთ მაგათ! (დღეს არაფერი მომხდარა, მარა შესახსენებლად დავწერე).

● როგორც ვატყობ საქართველოში კაცმა ხელი თუ მოიქნია, ძველი ბიჭის იარლიყი არ აცდება.

● ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, 50 000 ბავშვი შიმშილის ზღვარს ქვემოთ რომ არის, არ შეიძლება ჟურნალისტებმა და არაჟურნალისტებმა კულინარიული შედევრები მაინც და მაინც კამერის წინ რომ არ ცეცხლოთ?

● გამარკვიეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეს „უნარების“ გამოცდა რას ნიშნავს?.. სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, რომელ სამსახურში არ მიმუშავია, ბოლო ბოლო საფრანგეთში „კადრის“ სტატუსი მაქვს და არსად ასეთი სისულელე -“გამოცდა უნარებში“ არც შემხვედრია, არც წამიკითხავს და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული მინახავს.. აქ ერთადერთი კრიტერიუმია სამსახურში მოწყობის და ამ კრიტერიუმს ჰქვია „პროფესიონალიზმი“— ხაარ პროფესიონალი, მუშაობ, არა ხაარ? შენი ინგლისური, უნარები და ევროპული ქარტიის ცოდნა ერთ ადგილას ჩამოკიდე.. მერე გამკიცხავენ ხოლმე რო ვამბობ, უკანსვლით გვინდა შესვლა ევროპაში-მეთქი, არადა ასეთი სისულელეები იმ ევროპაში, სადაც მე აგე უკვე 22 წელია, ვცხოვრობ, ელემენტარულად არ არსებობს...

● ამიხსენით ერთი მე გაუნათლებელს,რატომ გადის ჩვენი ფრონტის ხაზი უკრაინაზე, ან აფრიკაზე, როდესაც 40 კილომეტრშია თბილისთან ტანკები და თუ სადმე გადის ფრონტის ხაზი ეს, ალბათ, საქართველოშია?!!!

შეეჯახა, ჩამოვარდა, აფეთქდა, დაიწვა, ჩაიძირა, დაზიანდა, დაიკარგა, გარდაიცვალა... — წინასაახალწლო „კურიერი“.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

## ალიანჩალიანი

### პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი 86 500 ლარით დაფინანსდება

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი 86 500 ლარით დაფინანსდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომლებიც მონაწილეობდნენ პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტში.



„მიღებული იქნა გადაწყვეტილება, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდეს შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი. ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებენ დიდი ნდობის მქონე და გამოცდილი ორგანიზაციები და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი“, — განაცხადა პატარაიამ.

მისივე თქმით, პროექტი მოემსახურება მსჯავრდებულთა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჯანდაცვას, ასევე სამართლებრივ საკითხებში დახმარებას. მისი თქმით, პროექტის მიზანია, შეწყალებული მსჯავრდებულები სრულფასოვნად დაუბრუნდნენ საზოგადოებას.

„ეს პროექტი გათვლილია რამდენიმე თვეზე. შემდგომში გამომდინარე უკვე გარკვეული შედეგებიდან, მსჯელობა იქნება ამ საკითხზე და ბუნებრივია, ეს პროექტი გაგრძელდება. შესაძლოა, მასშტაბებიც გაიზარდოს, ოღონდ ეს იქნება გამომდინარე იქიდან, თუ რა შედეგები იქნება“, — განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

### ფოთის პორტის ნავთობტერმინალი და „გალფის“ ავტოგასამართი სადგურების ნაწილი „როსნეფტის“ მფლობელობაში გადავა

რუსული ენერგოკომპანია „როსნეფტი“ ქართველი ბიზნესმენის დავით იაკობაშვილის კუთვნილი „პეტროკას ენერჯის“ აქციების 49%-ს შეიძენს.

„როსნეფტის“ ინფორმაციით, კომპანიამ უკვე მოაწერა ხელი დოკუმენტებს, რომლის თანახმადაც, ასევე იგეგმება ერთობლივი კომპანიების შექმნა ამიერკავკასიაში „როსნეფტის“ პროექტების რეალიზაციის მიზნით.

დავით იაკობაშვილმა განაცხადა, რომ ეს გარიგება „პეტროკასის“ წარმატების კიდევ ერთი დასტურია.

რუსული მედიის ინფორმაციით, „როსნეფტის“ მფლობელობაში გადავა ფოთის პორტის ნავთობტერმინალი, ასევე „გალფის“ ავტოგასამართი სადგურების ნაწილი, თუმცა, აქციათა საკონტროლო პაკეტი კვლავ დავით იაკობაშვილს რჩება. ამ დრომდე უცნობია გარიგების მოცულობა.

ინტერპრესი

◎ პრობლემა

# რა მოვუხერხოთ ამ საცობებს?!

## ნაგვის მანქანების ხერგილები, სამარშრუტო ტაქსების რბოლები და საგზაო ცხოვრების სხვა გასაჭირი

**თბილისში** ტრანსპორტის გადატვირთულ მოძრაობასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს (მათ შორის, 04.12.2014. №245-ში „სატრანსპორტო მოძრაობის რვაფეხა: ყველა საცეცს ერთი ტვინი უნდა მართავდეს“, 17.12.2014. № 254-ში „რა ამოძრავებს „საცობებს“ ქალაქის ქუჩებიდან?“), მკითხველთა მეტად აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ მასალებში ლაპარაკი იყო ბოლო დროს დედაქალაქში სატრანსპორტო პრობლემასთან, გაუთავებელ საცობებთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილებში მრავალი საკითხი იყო განხილული, საზოგადოებას ტრანსპორტის დარგის სპეციალისტების, ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთა აზრი გავაცანით, მთელი რიგი მწვავე საკითხის გადაჭრის პერსპექტივებზეც ვილაპარაკეთ. თავიანთ წერილებში, სატელეფონო თუ პრივატულ საუბრებში, თბილისელები ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემებზე თავიანთ ხედვებსა და აზრებს, მათი გადაჭრის უცხოეთში მიღებულ პრაქტიკას გვიზიარებენ და საკუთარ წინადადებებსაც გვთავაზობენ. ამ ჯერზე მათი ეს მოსაზრებები თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს, პატივცემულო მკითხველო, თუმცა კი, სიმართლე გითხრათ, სამიზნე სხვაც გვაქვს — დედაქალაქისა და, ასე განსაჯეთ, ქვეყნის მთავრობაც! იქნებ ჩვენს რესპონდენტთა შემოთავაზებები საქმეს წაადგეს, ვინ იცის...

იმის გამო, რომ თემასთან დაკავშირებით რედაქციაში მასალა საკმაოდ მრავლადაა, წერილს რამდენიმე ნაწილად შემოგთავაზებთ.

თბილისში სატრანსპორტო საცობების პრობლემის ბოლოდროინდელ უკიდურეს გამწვავებას, ამის გამომწვევ მიზეზებსა და საკითხის გადაჭრის გზებზე, დარგის ბევრ სპეციალისტს, ქალაქთმშენებელს, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელსა და ა.შ., უმრავლეს შემთხვევაში, მთლად ერთიანი პოზიცია თუ არ უკავია, ყოველ შემთხვევაში მათი აზრი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა, ზოგჯერ ხედვები განსხვავებულია, ზოგჯერ კი, სულაც, პრობლემა მოულოდნელად ახალი რაკურსით წარმოჩნდება, ანდა მისი გადაჭრის ერთგვარად განსხვავებულ ხერხს გვთავაზობენ.




**საგაზეთო პუბლიკაციებს რამდენიმე საყურადღებო მომენტი მინდა დავამატო, რადგან თემა მეტად საჭირბოროტოა,** — გვწერს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მალხაზ დოლიძე,** რომელიც თავს „თბილისის გულშემატკივარს“ უწოდებს. **— თითქოს სპეციალურად აკეთებენ ისე, რომ თბილისის ნაგვის მანქანები მაინცდამაინც პიკის საათებში გამოდიან ქუჩებში დადგმული ბუნკერების დასაცლელად. ძნელი დასაჯერებელია, რომ დილითაც და საღამოსაც ეს შემთხვევითი დამთხვევაა“.**

ბატონი დოლიძე საუბრობს სადისტრიბუციო მანქანების თაობაზეც, რომლებიც სასურსათო მაღაზიებს საქონლით ამარაგებენ. მან ერთხელ უკვე დაწერა, თუმცა კი უშედეგოდ, ამდენად იძულებულია, თემას კვლავ დაუბრუნდეს. განა არ შეიძლება, რომ ასე მომრავლებულ მარკეტებში ახალი საქონელი ღამის საათებში შეჰქონდეთ, როგორც ეს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა? — კითხულობს იგი. თუკი ამ წესს ჩვენშიც შემოვიღებთ, მაშინ, გარდა იმისა, რომ ვიწრო ცენტრალური ქუჩები „ნაბეღლავის“, „ბარამბოს“, „ტკბილი ქვეყნის“, „ნატახტარის“, მრავალი სხვა კომპანიის სადისტრიბუციო მანქანებისგან გათავისუფლდება, ქალაქში მოძრაობაც შედარებით გაადვილდება და ახალი სამუშაო ადგილებიც გაჩნდება, რადგან მაღაზიებს მაშინ „ღამის შტატის“ თანამშრომლების აყვანაც მოუწევთ.

**„ვეთანხმები ბატონ შალვა ოგბაიძეს, სამარშრუტო ტაქსები საპატრულო პოლიციის მიერ მთლად უყურადღებოდ არიან მიტოვებულები: შუა გზაზე გაჩერება, ერთმანეთის გასწრება და საავარიო სიტუაციების შექმნა მათმა მძღოლებმა ჩვეულებრივ ამბად აქციეს. რაც შეეხება მგზავრთა მომსახურების ხარისხსა და ზაფხულში კონდინციონერის ჩართვას, ამაზე ხომ ლაპარაკიც არ არის! საერთოდაც, იმდენი სამარშრუტო ტაქსი, რაც ჩვენშია, არა მგონია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კიდევ სადმე იყოს!“** — განაგრძობს ბატონი მალხაზი. მისი აზრით, თბილისში სატრანსპორტო მოძრაობის განსატვირთავად აუცილებელია ორი სამანქანო ხიდის სასწრაფოდ აშენება: პირველი მათგანი სს „თბილავიამშენის“ (ყოფილი 31-ე ქარხნის) მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც იქაურობის რუსთავის გზატკეცილსა და თელეთის გზასთან დამაკავშირებელი იქნება, მით უმეტეს, რომ ახლახან იქ მრავალფუნქციური ახალი დასახლებული მიკრორაიონი დირსი გაჩნდა, სადაც ახლო მომავალში დაახლოებით 20 ათასი კაცი იცხოვრებს. მეორე ხიდმა კი, მისი აზრით, ერთმანეთს საბურთალოში გაგარინის მოედანი დიდუბესა და ნაძალადევს უნდა დაუკავშიროს.

**„კარგი იქნება, თუ აეროპორტის რკინიგზის სადგური მეტროს სადგურად გადაკეთდება, ხაზის მეორე სადგური კი ლილოს ბაზრობასა და ფირმა „კასტელის“ ქარხანას შორის მოეწყობა. მერწმუნეთ, ეს დიდად განტვირთავს ამ მიმართულებას“,** — ასე ესახება რესპონდენტს ამ უბნის ავტოტრანსპორტისგან განტვირთვის გზა.

საკუთარი აზრი აქვს მას ასევე გმირთა მოედნისა და „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო აუზის გზის მონაკვეთის სივიწროვეზე, სადაც გამუდმებული საცობები იქ ორი ავტოგასამართი სადგურის მიზეზებითაა. **„ნუთუ პრობლემაა ორ ავტოგასამართი სადგურის ალტერნატიული ფართობის გამოყოფა ქალაქში, ამით გზის გაფართოება და პრობლემის გადაჭრა?“** — სავსებით სამართლიანად კითხულობს იგი. გარდა ამისა, ბატონი დოლიძე ასევე სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ყოველდღიურად ერთი ლარით დაბეგვრისა და მიღებული სახსრების ახალი გზების მშენებლობაზე მიმართვის წინადადებას აყენებს, თან დასძენს, რომ ავტომანქანების კერძო მფლობელები ყოველთვიურად 10 ლარის გადახდასაც არ დაიშურებენ ქალაქში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

ბატონ მალხაზ დოლიძის წერილში წამოყენებულ წინადადებებს თუ მივყვებით, თბილისში ავტოტრანსპორტის მოძრაობის გასაიოლებლად ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. კერძოდ, ამ თვალსაზრისით ნაგვის მანქანების მუშაობის გრაფიკის გონივრული შედგენაა საჭირო, ბუნკერების დაცლის დრო უფრო გვიან საათებზეა გადასაწევი, როცა მანქანების ნაკადი ქუჩებში საგრძნობლად იკლებს. იგივე ეხება სადისტრიბუციო მანქანებით მაღაზიების მომარაგებას. ამგვარად, ქალაქის, ასე ვთქვათ, „სატრანსპორტო აქტივობის“ ნაწილი უფრო ღამისკენ გადაიწევს ანდა, სულაც, ღამის ცხოვრებაზე გადავა, როგორც ეს მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქშია მიღებული.

ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი თბილისის სატრანსპორტო სამსახურმა მერიის ხელმძღვანელობის წინაშე უნდა დააყენოს მთელ რიგ სხვა საკითხთან ერთად, რომლებზეც მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა სრულიად აუტანელ ქცევას — გზად მგზავრთა აყვანა-გადასხმისას, ხოლო წლის ცხელ სეზონში კონდიციონერების ჩაურთველობის, ასევე მგზავრთა დასაშვებ ოდენობაზე მეტ გადაყვანას, ამას, ცხადია, საპატრულო პოლიციამ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. მეტიც, სრული პასუხისმგებლობით იმასაც ვიტყვით, რომ ამის შეხსენება შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოს ხელმძღვანელობას არც უნდა სჭირდებოდეს, რადგან ავტოტრანსპორტის მოძრაობისას წესრიგის ზედამხედველობა უშუალოდ მისი ფუნქციაა, რაშიც, სხვათა შორის, მას ხალხი საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოს უხდის.

რაც შეეხება დედაქალაქში ახალი ხიდების, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობას, სარკინიგზო სადგურების მეტროს სადგურებად გადაკეთებასა და ავტომანქანების მფლობელთა დამატებით დაგეგმვას, ეს, ცხადია, ისევ თბილისის მერიისა და მისი არქიტექტურული სამსახურის პრეროგატივაა, ხოლო დამატებით ახალი გადასახადის შემოღების საკითხი, როგორც ჩანს, მაინც ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა.

აი, ასეთი გახლავთ ერთ-ერთი, საკმაოდ სერიოზული და საქმიანი გამოხმაურება ჩვენი გაზეთის პუბლიკაციებზე. რედაქციის პორტფელში ამ მეტად საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით კიდევ არაერთი გამოხმაურებაა, რომელთა შესახებ ლაპარაკი მომდევნო პუბლიკაციებში გვექნება.

**ოთარ ტურაბელიძე**

# დედამიწის ზურგზე

ბიბლიოთეკა



### ობამამ განაცხადა, რომ პუტინი „არც ისე გონივრულად მოიქცა“, როდესაც ყირიმი რუსეთს შეუერთა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვებით, ჯერ კიდევ 3-4 თვის წინათ ვაშინგტონში, როდესაც აანალიზებდნენ უკრაინის კრიზისს, მიაჩნდათ, რომ რუსეთის ლიდერი — „გენიოსია“, რომელმაც ყველას აჯობა და გააფართოვა რუსეთის გავლენა. ახლა კი, ბარაკ ობამას სიტყვებით, ზოგიერთი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში რუსეთის ფარგლებს გარეთ, ფიქრობს, რომ ის „არც ისე გონივრულად მოიქცა“.

### ნიკოლას მადურომ ბრალი დასდო აშშ-ს მისწრაფებაში, დაანგრიოს რუსეთი და ვენესუელა

ვენესუელის პრეზიდენტით აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების მესამე მიზანია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრიდან ვენესუელის ნავთობის ფასი ორმაგად დაეცა, მადურო დაგვპირდა, გააგრძელოს ბრძოლა და არ მისცეს მტერს დამოუკიდებლობა და რევოლუციის მონაპოვრები.

### სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ სავარაუდო მსხვერპლთა კიდევ ერთი მასობრივი სასაფლაო აღმოაჩინეს

სირიის პროვინციის დეირ-ეზ-ზორეს სამარხებში ქვეყნის აღმოსავლეთში 70 კაცის ცხედარი იყო. პრესის მონაცემებით, გვამები შეიძლება ეკუთვნოდეს სუნიტური ტომის აშ-შაიტატის სუნიტურ ტომებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს. სხეულების ნაწილებზე აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი ჭრილობების კვალი, ზოგიერთ მათგანს თავის ჰქონდა მოჭრილი.

### ბრაზილიის პლაჟზე ელვის დარტყმის მსხვერპლი 4 კაცი გახდა, მათ შორის ერთი ფეხმძიმე ქალბატონი

კიდევ 4 დაზიანდა, ერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. სამი დანარჩენის სიცოცხლეს არაფერი ემუქრება. ყველა დაღუპული, მოულოდნელად წამოსული წვიმისგან თავი რომ დაეცვათ, იმალებოდნენ მახლობლად მდგარ ჯიხურში, რომელსაც დაარტყა კიდეც მეხმა. მათგან უფროსი 69 წლისა იყო.

### აშშ-მა სომალიში ავიადარტყმა მიაყენა „აშ-შაბაბის“ ტერორისტების პოზიციებს

დარტყმა მიაყენეს სააკოვის დასახლებული პუნქტის რაიონში, მისი მიზანი იყო „აშ-შაბაბის“ ერთ-ერთი ლიდერი, განაცხადა პენტაგონის პრესმდივანმა, კონტრადმირალმა ჯონ კირბიმ. მისი სიტყვებით, ამჟამად თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია მონაცემები შეტევის მსხვერპლთა შესახებ, ეს ცნობები მოგვიანებით გახდება ცნობილი.






ⓞ რაგბი

# 2014 წელი შეაჯამეს

**ბორჯღალოსანი მერაბ შარიქაძე 2014 წლის საუკეთესო მორაგბეა!**

„აკადემიის“ აღზრდილი 21 წლის მორაგბე ეროვნულ გუნდში 2012 წლიდან გამოჩნდა და ასაკის მიუხედავად, ბოლო ორი სეზონია, „ბორჯღალოსანთა“ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. განვლილ 3 წელიწადში მან 28 კეპი მოიხვეჭა და 7 ლელო დადო.

ის გამორჩეული იყო ისეთ გუნდებთან თამაშში, როგორებიც სამოასა და იაპონიის ნაკრებები არიან. გასული სეზონი შარიქაძემ Pro D2-ის „ბურგ-ან-ბრესში“ გაატარა, მიმდინარე სეზონში ამავე დივიზიონის „ორიაკში“ გადავიდა და 9 მატჩში 1 ლელო გაიტანა. მას დამსახურებულად ერგო ეს ჯილდო!



საქართველოს ჩემპიონატის 2013/2014 წლების სეზონის საუკეთესო მორაგბე „ლელო სარასენსისა“ და ეროვნული ნაკრების მგეზავი **ლაშა ხმალაძე** გახდა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა კლუბის ჩემპიონობაში და ამ პოზიციაზე ბორჯღალოსნების შემადგენლობაში 34 თამაშში 4 ლელო მიითვალა. ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო „თბილისის კავკასიელების“ შემადგენლობაშიც და საუკეთესო ფაქტობრივად უკონკურენტოდ გახდა.

ჩემპიონი „ლელო სარასენსის“ მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** გახდა სეზონის საუკეთესო მწვრთნელი.

გასული სეზონის საუკეთესო მსაჯი **ნიკა ამაშუკელი** გახდა, საუკეთესო ქალი მორაგბე **ანა პოლოსიანი**, 9 გატანილი ლელოთი მელელოვის ტიტული არავის დაუთმო „არმიის“ გარემარბმა **ალექსი ტუჩაშვილმა** (ტუჩაშვილი ღონისძიებაზე ვერ მოვიდა, ამიტომ მისი პრიზი მის თანაგუნდელს დავით გურგენაძეს გადაეცა), ხოლო 223 ქულით საუკეთესო მექულის პრიზი „ლელო სარასენსის“ ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** დაისაკუთრა.

ტრადიციულად, დასახელდა 2013/2014 წლების სეზონის სიმბოლური ნაკრები, რომელიც ასე გამოიყურება:

15. ბექა წიკლაური,
14. ირაკლი გეგენავა,
13. გიორგი ფრუიძე,
12. გიგა გაგოშვილი,
11. ლევან გოგოლაშვილი,
10. ლაშა ხმალაძე
9. გიორგი ბეგაძე,

1. გიორგი სანიკიძე,
2. დავით ხიდეშელი,
3. დავით გურგენაძე,
4. მიხეილ არჩუაშვილი,
5. სანდრო ქოიავა,
6. გიორგი თხილაიშვილი,
7. გუჯა სურგულაძე,
8. ბექა ბიწაძე.

ეს ყველაფერი დაჯილდოების ცერემონიალის დასკვნით ნაწილში მოხდა, მანამდე კი, საქართველოს რაგბის კავშირის შემაჯამებელი ღონისძიება მამა ილიას დალოცვით დაიწყო, რომელმაც იქ შეკრებილები და სრულიად საქართველოს სარაგბო ოჯახი დალოცა. ამის შემდეგ იყო წუთიერი დუმილი „არმაზისა“ და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დავით ვართანიანის გარდაცვალების გამო.

ამის შემდეგ სცენაზე 2014 წლის ევროპის ჩემპიონებს, 19-წლამდე ბორჯღალოსნებს უხმეს. ახალგაზრდულის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ლადო კილასონიამ განაცხადა: **„ძალიან რთულია ევროპის ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ უფრო რთულია ამის შენარჩუნება! 19-წლამდელებმა ეს შეძლეს“.**

შეგახსენებთ, რომ იმავე სპორტის სამინისტრომ საქართველოს რაგბის კავშირი წლის საუკეთესო ფედერაციად აღიარა და სიტყვაც სრკ-ს პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ აიღო:

**„ესაა ყველა იმ ადამიანის ჯილდო, ვინც აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქართულ რაგბიში მოღვაწეობს. 2014 წელი კარგი იყო, ხოლო 2015 გარდამტეხი იქნება. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენი 4-წლიანი მუშაობის შედეგი. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ეროვნული ნაკრები ქართველ ხალხს მომავალი წლის ოქტომბერში (2015 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ინგლისში გაიმართება მსოფლიო თასი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ზედიზედ მეოთხედ მიიღებს მონაწილეობას) კიდევ ერთხელ გაახარებს“.**

ⓞ სათხილამურო სპორტი

# გზა სვანეთიდან გაიკვალა

**საქართველოს სამთო მოთხილამურეებმა 2014-2015 წლების სეზონი სვანეთში — ჰაწვალის ფერდობზე დაიწყეს. შეჯიბრების პირველ დღეს ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილენი გიგანტურ სლალომში თედო ჯაფარიძის თასზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გუნდურში ყველას მასპინძლებმა აჯობეს. ინდივიდუალურ პაექრობაში ასაკების მიხედვით პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ:**

**გიგანტური სლალომი**

**გოგონები. 2001-2002 წ.წ. დაბადებულნი.** 1. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 01.41,49), 2. თამთა ჩოგაძე (02.15,34), 3. ანუკი ჩოგაძე (ორივე — აჭარა, 02.27,25), **1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 01.31,64), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 01.37,74), 3. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 01.41,85). **1998 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. მარიამ ჭკადუა (01.31,68), 2. სალომე კვიციანი (ორივე — სვანეთი, 01.40,34), 3. ნუცა ხურცილავა (თბილისი, 01.42,08).



**ვაჟები. 2001-2002 წ.წ. დაბადებულნი.** 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 01.35,85), 2. თადეოზ ჯაფარიძე (სვანეთი, 01.43,05). 3. ედნარ ჯორბენაძე (აჭარა, 01.54,31). **1999-2000 წ.წ.** 1. ნიკოლოზ ცაგარელი (თბილისი, 01.30,32), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 01.31,24), 3. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 01.32,26). **1998 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ბესო ჯაფარიძე (01.27,24), 2. გოგა ოგბაიძე (01.27,37), 3. გალო ჯაფარიძე (სამივე — სვანეთი, 01.27,92).

ასპარეზობის მეორე დღეს შეჯიბრების პროგრამაში იყო

**სპეციალური სლალომი**

**გოგონები. 2001-2002 წ.წ. დაბადებულნი.** 1. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 01.59,33), 2. ანუკი ჩოგაძე (02.36,97), 3. თამთა ჩოგაძე (ორივე — აჭარა, 03.05,92). **1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 01.52,46), 2. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 02.04,96). **1998 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სალომე კვიციანი (01.47,47). 2. მარაი ჭკადუა (ორივე — სვანეთი, 01.49,51), 3. მარიამ ხუციშვილი (წმ. გიორგის სკოლა, 02.09,05).

**ვაჟები. 2001-2002 წ.წ. დაბადებულნი.** 1. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 01.54,81), 2. თადეოზ ჯაფარიძე (სვანეთი, 01.59,71), 3. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 02.01,62).

**1999-2000 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (01.41,38), 2. გიორგი კურტანიძე (01.49,00), 3. გიორგი ქურდოღლიანი (სამივე — ბაკურიანი, 01.49,76). **1998 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 01.38,28), 2. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 01.46,16), 3. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 01.46,47).

**ლექსო ცინცაძე**

ⓞ ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა სეზონი საუკეთესო მაჩვენებლით დაასრულა

**ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა 2014 წელი კარიერის საუკეთესო მაჩვენებლით დაასრულა. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) განახლებულ რეიტინგში ბასილაშვილი 4 ადგილით დაწინაურდა და 293 ქულით 178-ე პოზიციაზეა.**

წლის დასკვნით კლასიფიკაციაში კიდევ 5 ქართველი ჩოგბურთელი მოხვდა: 543 (544). ალექსანდრე მეტრეველი — 59 ქულა; 866 (867). გიორგი ცივაძე — 18; 1225 (1231). გიორგი ჯავახიშვილი — 6; 1421 (1422). ალექსანდრე ბაკში — 3; 1727 (1724). ირაკლი მეტრეველი — 1;



წელი 211 ქულით და 227-ე პოზიციაზე დაასრულა ქალთა შორის საქართველოს პირველმა ჩოგანმა სოფო შაფათავამ. ცნობისთვის, სოფო კარიერის უმაღლეს ნიშნულზე სექტემბერში იყო, როდესაც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) რეიტინგში 186-ე ადგილს უწია.

**დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელთა მდგომარეობა ასეთია:** 329 (327). ეკატერინე გორგოძე — 106 ქულა; 431 (433). სოფო ქვაცაბაია — 68; 527 (530). ოქსანა კალაშნიკოვა — 46; 702 (701). მარიამ ბოლქვაძე — 24; 884 (886). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი — 13; 1115 (1116). თამარ კუტუბიძე — 5; 1209 (1210). თამარ ჭალაგანიძე — 3.

ⓞ ალიარება

# მადრიდის „რეალმა“GLOBE SOCCER AWARDS-ის ფესტივალის ყველა ჯილდო შეაგროვა

**მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი კრიშტიანუ როლანდუ დუბაიში გამართულ საფეხბურთო ფესტივალზე დააჯილდოვეს, როგორც 2014 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, იტყობინება ცერემონიის ოფიციალური საიტი.**



დაჯილდოების შემდეგ პორტუგალიელმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, გაიმეოროს წარმატება „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონიაზე, რომელიც 12 იანვარს ციურიხში გაიმართება.

**„თავს ბედნიერად ვგრძნობ. მინდა, მადლობა გადავუხადო ადამიანებს „რეალში“ — მწვრთნელსა და მოთამაშეებს. ჩვენ ფანტასტიკური სეზონი გვქონდა. მოვიპოვეთ ოთხი ნადავლი, და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გუნდი ვართ“,** — მოჰყავს რონალდუს სიტყვები სააგენტო რეა ნოვოსტის.

საუკეთესო მწვრთნელად ფესტივალზე დაასახელეს „რეალის“ მეორე წარმომადგენელი **კარლო ანჩელოტი.** „რეალის“ ჰავბეკი **ჰამეს როდრიგესი** აღიარეს წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ, „რეალის“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** — საუკეთესო პრეზიდენტად, ხოლო თავად „რეალი“ — საუკეთესო კლუბად.

შარშან საუკეთესო მოთამაშის პრემიით დაჯილდოვდა ფრანკ რიბერი მიუნხენის „ბავარიიდან“, როგორც მწვრთნელი კი — ანტონიო კონტე.

ⓞ ფეხბურთი

# ამისულაშვილი აზერბაიჯანის პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტებში დაასახელეს



**აზერბაიჯანის პრემიერლიგის ყველაზე წარმატებულ დებიუტანტებში ინტერნეტპორტალ azerisport.com-ის ვერსიით, ალექსანდრე ამისულაშვილი მოხვდა.**

„ინტერის“ გამოცდილი ქართველი მცველი გუნდს კარგად შეეწყო და იოან ბოკონიანოსთან და ლაშა სალუქვაძესთან ერთად სეზონის ყველაზე საიმედო უკანა ხაზი შექმნა — მხოლოდ 7 გაშვებული ბურთი. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ერთი გატანილი გოლია, რომელიც პირველ ტურში გაიტანა და ის მიმდინარე სეზონში „ინტერისთვის“ პირველი აღმოჩნდა“, — იუწყება azerisport.com ამისულაშვილის შესახებ.

აქვე გეტყვით, რომ 32 წლის მცველი კიდევ ერთი ინტერნეტპორტალმა azerifootball.com-მა აზერბაიჯანის პრემიერლიგის პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა.

ⓞ კრივი

# ერთ მილიონად შევებრძოლებიო...

**ამერიკელი სუპერ მძიმეწონოსანი ბრაიანტ ჯენინგსი თანახმაა, ერთი მილიონი დოლარის ჰონორარის ფასად იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონის, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკოს წინააღმდეგ, იტყობინება „ინტერფაქსი“.**

შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ კლიჩკო არის მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში საერთაშორისო მოკრივეთა ფედერაციის, მსოფლიოს მოკრივეთა ასოციაციის, საერთაშორისო მოკრივეთა ორგანიზაციის და ჟურნალ „დი რინგის“ ვერსიებით.

**„თავდაპირველად ამერიკელის მენეჯერები ითხოვდნენ ორ მილიონ დოლარს, შემდეგ თამასა 1,5 მილიონამდე დაუშვეს. და აი ახლა მზად არიან მინიმალური ექვსნულიანი ჰონორარისთვის“,** — წერს გამოცემა.

კლიჩკო 2015 წლის 25 ივლისს გამოვა რინგზე ნიუ-იორკის ერთ-ერთ არენაზე. უკრაინელი მოკრივის მეტოქე იქნება ან ბრაიანტ



ჯენინგსი, ან მეორე ამერიკელი შენონ ბრიგსი, აგრეთვე ასახელებენ ენდი რუიზის კანდიდატურასაც მექსიკიდან.

ვლადიმერ კლიჩკომ წინა ბრძოლა გამართა მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციის ტიტულის პრეტენდენტთან ბულგარელ კურბატ პულევთან. 16 ნოემბერს ჰამბურგში მან მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა მეტოქე.

## ინფორმაცია

### შინაგან საქმეთა სამინისტრო ქველმოქმედებას განაგრძობს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციას შეუერთდნენ და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე, წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებს ეწვივნენ.**



საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზურაბ ზუბადალაშვილმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს სხვადასხვა სახის საჩუქარი პირადად გადასცა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. სააგენტოს თანამშრომლებმა სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს სურსათი, ტკბილეული, ჰიგიენური ნივთები და წიგნები გადასცეს. მომსახურების სააგენტო წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებს საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და პირველადი მოხმარების ნივთებით სისტემატურად ეხმარება.

### „ყაზტრანსგაზ-თბილისის" საახალწლო საჩუქარი – დევნილებს

**აფხაზეთიდან დევნილი 107 ოჯახი ახალ წელს ბუნებრივი აირით შეხვდება. საბურთალოს რაიონის გამგეობის დაფინანსებით, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისმა" ვაჟა-ფშაველას №42-ში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საცხოვრებელი კორპუსის გაზიფიცირება დაასრულა.**

განხორციელებული სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ შოთა რეხვიაშვილმა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის" დროებითმა მმართველმა გია ბენაშვილმა დაათვალიერეს.

დავით ნარმანია ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და მათს პრობლემებს გაეცნო. თბილისის მერის თქმით, მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა, რათა დევნილ ოჯახებს ახალ წლამდე ჰქონოდა ბუნებრივი აირით სარგებლობის შესაძლებლობა. მისივე თქმით, თბილისის მერია განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად ყველაფერს გააკეთებს დევნილთა პრობლემების ეტაპობრივად გადასაჭრელად.

### სტუმრად ტყიბულელ პატარებთან

**ტყიბულელმა პატარებმა კომპანია „საქნახშირი ჯი-აი-ჯისგან" საახალწლო საჩუქრები მიიღეს. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობების მიერ შესრულებული საახალწლო სპექტაკლი, მუსიკალური და საცირკო ნომრები, ზღაპრის საყვარელი გმირები, თოვლის ბაბუა, მხიარული ელფები, შუშხუნები და ფერადი ბუშტები" – ეს კომპანიის საჩუქარია ტყიბულელი მეშახტეების შვილებისათვის. საახალწლო კონცერტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.**

600–მდე პატარამ რამდენიმე საათის განმავლობაში ზღაპრულ გარემოში გადაინაცვლა. ჯამბაზებთან ერთად შოუში პატარებიც ჩაერთვნენ. საცირკო ნომრების შესრულება ჟონგლიორთან ერთად მათთვის ყველაზე სახალისო აღმოჩნდა. კონცერტის ბოლოს კი პატარებს ტრადიციულად საახალწლო საჩუქრებით, ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

### „ეტალონი" არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

**№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხარდაჭერით, „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ინტელექტუალური თამაში „ეტალონი" ჩატარდა. თამაშს მედია-პროქტი „ეტალონის" ტელეწამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი გაუძღვა.**

თამაში შედგებოდა სამი ტურისაგან, რომელშიც გამოვლინდა პირველი, მეორე და მესამე ადგილის გამარჯვებული. მონაწილეები გოჩა ტყეშელაშვილმა საკუთარი წიგნებით დაასაჩუქრა.

გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისაგან წიგნები და საახალწლო სიმბოლური საჩუქრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულების წარმომადგენლები.

### სოჭისა და ნაძვის ხეები კვლავ არაკანონიერად გაიჩეხა

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა, სპორტის სასახლისა და ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარეალიზაციოდ გამზადებული 83 ძირი სოჭისა და ნაძვის ჯიშის ხე-მცენარე აღმოაჩინეს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, უკანონოდ მოპოვებული ხე-მცენარე ონის, ზუგდიდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზეა მოჭრილი.

მათივე ცნობით, უკანონოდ მოპოვებული ხე-მცენარე სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ და დაილუქა.

უწყების ინფორმაციით, გარემოსთვის მიყენებული ზიანი ჯამში 9130 ლარს შეადგენს. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნება.



## ამინდის პროგნოზი

### ახალი წლის დღეებში თოვლს არ უნდა ველოდოთ

გარემოს დაცვის სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის ნინო წვერავას განცხადებით, წინასაახალწლოდ და ახალი წლის დღეებში საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, მათ შორის, თბილისშიც.

მისივე თქმით, ახალი წლის ღამით თოვლი მოსალოდნელია მესტიაში, გუდაურსა და ფასანაურში.

4 იანვრამდე დასავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის საშუალო ტემპერატურა ღამით +4; +9; დღისით – +9; +14; მთაში ღამით - 0; +5; დღისით +4; +9; მაღალმთაში ღამით -3;+2; დღისით - 0;+5;

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით მოსალოდნელია 0;+5; დღისით – +4, +9; მთაში ღამით – -3; +2; დღისით +3;+8; მაღალმთაში – 7-2; -1;+4;

თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა ღამით +3; დღისით – +6 იქნება.

4 იანვრის შემდეგ საქართველოში აცივდება და არამდგრადი ამინდებია მოსალოდნელი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაუღალავი მებრძოლი, დაბა აჟარის ყოფილი გამგებელი

**რევაზ კორძაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

## ტესტი

# გაქვთ უნარი, რომ გახდეთ როკფელერი?

**ამაზე არასოდეს გიფიქრიათ? თქვენი შესაძლებლობების გაგებაში დაგეხმარებათ ეს ტესტი.**



**1. რა არის, თქვენი აზრით, აუცილებელი, უწინარეს ყოვლისა, იმისთვის, რომ გამოიმუშაოთ თავდაპირველი კაპიტალი?**

ა) კარგი კანონები.

ბ) პიროვნული თავისებურებანი.

გ) ხელსაყრელი ვითარებანი.

**2. იცავთ პრინციპს: „ნუ გადადებთ ხვალისთვის იმას, რაც დღეს შეიძლება გააკეთო"?**

ა) დიახ, რასაკვირველია.

ბ) უფრო კი, ვიდრე – არა.

გ) ხშირად არა.

**3. ხელმძღვანელობამ ასარჩევად შემოგთავაზათ რამდენიმე პროექტი. აირჩევთ იმას, რომელზე მუშაობაც:**

ა) პრაქტიკულად გამორიცხავს შეცდომის შესაძლებლობას.

ბ) მოაქვს მცირე შემოსავალი.

გ)საშუალებას გაძლევს მიიღო ახალი ცოდნა, აიმაღლო საკუთარი პროფესიული დონე.

**4. როგორია თქვენი რეაქცია სხვადასხვა მოვლენებზე?**

ა) სწრაფი.

ბ) სხვადასხვაგვარი, ყველაფერი კონკრეტულ მოვლენაზეა დამოკიდებული.

გ) უფრო ნელი.

**5. ხშირად ხდება ხოლმე, რომ რჩევები გარედან გაიძულებენ შეცვალოთ აზრი?**

ა) იშვიათად.

ბ) დიახ, ეს ხშირად ხდება.

გ) არა, მაგრამ საბაბი არის, რომ დაფიქრდე ამაზე.

**6. გეშინიათ, რომ იკისროთ პასუხისმგებლობა?**

ა) დიახ, პასუხისმგებლობა მაშინებს.

ბ) მე მზად ვარ, ვიკისრო პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩემ თავზე.

გ) არ მეშინია ვიკისრო პასუხისმგებლობა არც ჩემთვის, არც სხვებისთვის.

**7. თქვენი აზრით, ღირს თქვენი დანაზოგები იმისთვის, რომ გაამრავლოთ ისინი:**

ა) დამოუკიდებლად დააბანდოთ აქციები (ობლიგაციები) ან შეიძინოთ საინვესტიციო პაი საპაიო ფონდში.

ბ) გახსნათ დეპოზიტი, ჩადოთ იგი ბანკში შესანახად.

გ) მოახდინოთ იმ უცხოური ვალუტის (დოლარი, ევრო, იენი, შვეიცარიული ფრანკი) კონვერტირება და შეინახოთ ბანკში, რომელიც საიმედოდაა შენახული სახლში.

**8. მიგაჩნიათ თავი იღბლიან ადამიანად?**

ა) ზოგჯერ მიმართლებს.

ბ) დიახ, ისეთ ადამიანებზე, როგორიც მე ვარ, ამბობენ: ჩოხაში დაიბადაო.

გ) არა, არ მიმაჩნია.

**9. ამ გამონათქვამებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მახლობელი?**

ა) „სიმდიდრე – ესაა ჯილდო მიზანსწრაფვისა და ნაყოფიერი შრომისთვის".

ბ)„თუ გინდა, რომ იყო მდიდარი, ნუ ისწრაფვი გაამრავლო შენი ქონება".

გ) „თუ გინდა, რომ იყო მდიდარი, იმისთვის ნუკი ისწრაფვი, რომ გაამრავლო შენი ქონება, არამედ შეიმცირე მოთხოვნები".

**10. სწორად იქცევიან ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ზეგანაკვეთურად დამატებითი ანაზღაურების გარეშე?**

ა) არა, ასეთი რამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

ბ) საქმისთვის ზოგჯერ გიწევს რაღაცა გასწირო.

გ) მთლიანად, არ მომწონს ეს, მაგრამ, თუ ასეთი რამ იშვიათად ხდება, ვერაფერ სახიფათოს ამაში ვერ ვხედავ.

**11. გაგიჩნდათ სერიოზული სირთულეები საქმეებში. როგორ მოიქცევით?**

ა) ჩემი აქტიური მოქმედებებით შევეცდები, გარდავქმნა სიტუაცია, ნებისმიერი დაბრკოლება– კარგი გამღიზიანებელია.

ბ)შევეცდები, უბრალოდ მშვიდად გადავიტანო არახელსაყრელი პერიოდი, ყველაფერი ხომ იცვლება – ესეც შეიცვლება.

გ) ალბათ, დავიბნევი: დიდი უსიამოვნებანი ზოგჯერ კალაპოტიდან მაგდებს.

**12. დავუშვათ, შეძელით გამოგემუშავებინათ დიდი ფული, შეეცდებით გააორმაგოთ იგი?**

ა) შევეცდები ამის გაკეთებას ისე, რომ არ გავწიო გამომუშავებული ფულის რისკი.

ბ) არა, თუ გამომუშავებული სახსრები იძლევიან იმის საშუალებას, რომ ვიცხოვრო კმაყოფილებით.

გ) აუცილებლად, თუნდაც მიწევდეს გარკვეულ საფინანსო რისკზე წასვლა.

**13.თქვენს მუშაობაში თქვენ სარგებლობთ მხოლოდ სამართლებრივი მეთოდებით?**

ა) დიახ, ასე უფრო საიმედოა.

ბ) არა, უპირატესობას მოულოდნელ, არასტანდარტულ სვლებს ვანიჭებ.

გ) ვცდილობ, შევუხამო ახალი შემოწმებულს.

### შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 | 3 | 2 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 |
| ბ | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 1 | 3 |
| გ | 1 | 1 | 3 | 1 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 |

**13-21 ქულა.** იმედი, რასაკვირველია, ბოლოს კვდება, მაგრამ... თუ თავის თავზე არ იმუშავებთ, მოგიწევთ ელოდოთ მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას ლატარიაში ანდა წარმატებულ ქორწინებას.

**22-30 ქულა.** შეიქმნათ კარიერა ნაბიჯ-ნაბიჯ– თქვენთვის ყველაზე უპირატესი გზაა. მთლიანად თქვენ გაქვთ უნარი გამოიმუშაოთ. გამოიჩინეთ მოთმინება და თქვენი საუკეთესო თვისებები, და თუ ვერ მოახერხებთ დააგროვოთ კაპიტალი, საფინანსო კეთილდღეობის მიღწევა თქვენ სავსებით შეგიძლიათ.

**31-39 ქულა.** პასუხების გაცემის დროს თქვენ პატიოსანი იყავით საკუთარი თავის წინაშე? მაშინ თქვენ შეიძლება მოგილოცოთ – თქვენ გამდიდრების პოტენციური შესაძლებლობა გაქვთ! მთავარია, მუდამ ისწრაფოდე, არ შეჩერდე მიღწეულზე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ – ცუდი პატრონი!"

ბიბლიოთეკა

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CW/NCB-07** (I ლოტი და II ლოტი);

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ახალქალაქი - რკონის კმ0+000 – კმ3+755 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – I ლოტი; ადგილობრივი მნიშვნელობის გზის ახალქალაქი – ნოსტე - მთიულთუბანის კმ0+000 – კმ5+700 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – II ლოტი;

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 12 თვე I ლოტისთვის და 12 თვე II ლოტისთვის;

შესაფასებელი ვალუტა: ლარი

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: შ.პ.ს. "ცეკური"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,857,640.42 ლარი; II ლოტი - 3,131,606.09 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,857,640.42 ლარი; II ლოტი - 3,131,787.79 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. "იბოლია"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,526,789.06 ლარი; II ლოტი - 3,046,709.76 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,526,789.06 ლარი; II ლოტი - 3,046,708.05 ლარი;

დასახელება: General Insaat Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 4,545,503.55 ლარი; II ლოტი - 4,962,676.41 ლარი; 10% ფასდაკლება I ლოტის მინიჭების შემთხვევაში, 10% ფასდაკლება II ლოტის მინიჭების შემთხვევაში; 15% ფასდკლება ორივე ლოტის მინიჭების შემთხვევაში;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი – 4,093,178.63 ლარი; II ლოტი - 4,468,832.26 ლარი;

დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "გზები და კეთილმოწყობა" და ს.ს. "კავკასავტომაგისტრალი"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,568,019.17 ლარი; II ლოტი – არ არის;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ არის;

დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "დაგი" და შ.პ.ს. " ნიუ ქონსტრაქშენ"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,467,329.76 ლარი; II ლოტი - 3,069,416.41 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,478,678.99 ლარი; II ლოტი - 3,069,416.30 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. "Fin-Estate"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,550,007.30 ლარი; II ლოტი – არ არის;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,557,986.46 ლარი; II ლოტი – არ არის;

დასახელება: შ.პ.ს. "ბელ-ბაუ"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,568,113.98 ლარი; II ლოტი - 3,239,451.45 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,568,113.98 ლარი; II ლოტი - 3,239,449.16 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. "არალი"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,529,214.70 ლარი; II ლოტი – არ არის;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,531,070.22 ლარი; II ლოტი – არ არის;

დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "გზები და კეთილმოწყობა" და ს.ს. "კავკასავტომაგისტრალი"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,568,019.17 ლარი; II ლოტი – არ არის;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ არის;
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ აქვს წარმოდგენილი მინდობილობა;

გამარჯვებული კომპანია(ები):

I ლოტი
დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "დაგი" და შ.პ.ს. " ნიუ ქონსტრაქშენ"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,467,329.76 ლარი; II ლოტი - 3,069,416.41 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,478,678.99 ლარი; II ლოტი - 3,069,416.30 ლარი;
საკონტრაქტო ღირებულება: 2,478,678.99 ლარი

II ლოტი
დასახელება: შ.პ.ს. "იბოლია"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 2,526,789.06 ლარი; II ლოტი - 3,046,709.76 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 2,526,789.06 ლარი; II ლოტი - 3,046,708.05 ლარი;
საკონტრაქტო ღირებულება: 3,046,708.05ლარი




# Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CW/NCB-07 (Lot I & Lot II)**
Scope of Contract: : **Rehabilitation of the Secondary road Akhalkalaki-Rkoni km 0+000 – km 3+755 LOT- I; Rehabilitation of the Local road Akhalkalaki-Noste-Mtiultubani km 0+000 – km 5+700 LOT- II**
Duration of Contract: **12 months for Lot I and 12 months for Lot II**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Bidder(s):**

Name: Tsekuri Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,857,640.42 GEL; LOT-II - 3,131,606.09 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,857,640.42 GEL; LOT-II - 3,131,787.79 GEL;

Name: Ibolia Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,526,789.06 GEL; LOT-II - 3,046,709.76 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,526,789.06 GEL; LOT-II - 3,046,708.05 GEL;

Name: General Insaat Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 4,545,503.55 GEL; LOT-II - 4,962,676.41 GEL; Discount: 10%- in case of award of Lot-I; 10%- in case of award of Lot-II; 15%- in case of award of Lot-I&Lot-II;
Final Evaluated bid price: LOT-I - 4,093,178.63 GEL; LOT-II - 4,468,832.26 GEL;

Name: JV Gzebi da Ketilmotskoba Ltd. & JSC Caucasautomagistrali
Bid price at bid opening: LOT-I - 2,568,019.17 GEL; LOT II- NO BID;
Final Evaluated bid price: N/A

Name: JV Dagi Ltd. & New Construction Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,467,329.76 GEL; LOT-II - 3,069,416.41 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,478,678.99 GEL; LOT-II - 3,069,416.30 GEL;

Name: Fin-Estate Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,550,007.30 GEL; LOT-II – NO BID;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,557,986.46 GEL; LOT-II – NO BID;

Name: Bel-Bau Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,568,113.98 GEL; LOT-II - 3,239,451.45 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,568,113.98 GEL; LOT-II - 3,239,449.16 GEL;

Name: Arali Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 2,529,214.70 GEL; LOT-II – NO BID;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,531,070.22 GEL; LOT-II – NO BID;

**Rejected Bidder(s)**
Name: JV Gzebi da Ketilmotskoba Ltd. & JSC Caucasautomagistrali
Bid price at bid opening: LOT-I - 2,568,019.17 GEL; LOT II- NO BID;
Final Evaluated bid price: N/A
Reason(s) for rejection: Power of Attorney is not submitted.

**Awarded Bidder(s):**

**Lot I**
Name: **JV Dagi Ltd. & New Construction Ltd.**
Bid price at bid opening: LOT-I - 2,467,329.76 GEL; LOT-II - 3,069,416.41 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,478,678.99 GEL; LOT-II - 3,069,416.30 GEL;
Contract Price: 2,478,678.99 GEL;

**Lot II**
Name: **Ibolia Ltd.**
Bid price at bid opening: LOT-I - 2,526,789.06 GEL; LOT-II - 3,046,709.76 GEL;
Final Evaluated bid price: LOT-I - 2,526,789.06 GEL; LOT-II - 3,046,708.05 GEL;
Contract Price: 3,046,708.05 GEL;

№264. ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 2014 წელი.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
